პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 165 (11471)
შაბათი
18
ივლისი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა ავიაციი თვალსაჩინო მიღწე

1959 წლის 13 ივლისს მფრინავმა პოდპოლკოვნიკმა ვ. პ. სმირნოვმა ორ ტურბორეაქტიულ-ძრავიანი „რვ" თვითმფრინავით ფრენაში მიაღწია 20.300 მეტრ სიმაღლეს. თვითმფრინავზე იყო ერთი ტონა კომერციული ტვირთი.

1959 წლის 14 ივლისს ინჟინერმა-მფრინავმა [illegible]ორმა ვ. ს. ილიუშინმა ერთი ტურბორეაქტიული ძრავიანი ტ-431 თვითმფრ[illegible] მიაღწია 28.760 მეტრ სიმაღლეს.

სსრ კავშირის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სასპორტო კომისია ორივე გაფრენის მასალებს გზავნის საერთაშორისო საავიაციო ფედერაციაში, რათა ეს ორი ფრენა დაამტკიცონ მსოფლიო რეკორდებად. (საკდესი).

ძმობისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრაცია

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია პოლონეთში

კატოვიცე, 16 ივლისი. (საკდესი). პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა დღეს კატოვიცეში იმასთან დაკავშირებით, რომ სილეზიის ინდუსტრიულ ცენტრში იმყოფება საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია.

მიტინგი გახსნა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და საგოვერნო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. გერეკმა, რომელმაც სიტყვა მისცა ვ. გომულკას.

მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა თავდადებული შრომის მეოხებით, თქვა ვ. გომულკამ, სახალხო პოლონეთმა ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში შეძლო არა მარტო აღედგინა მრეწველობა ომისშემდგომი ნანგრევებიდან, არამედ ექვსჯერაც. გაედიდებინა სამრეწველო პროდუქცია 1938 წელთან შედარებით.

ამ საქმეში უდიდესი როლი შეასრულა ძმურმა დახმარებამ, რომელსაც საბჭოთა კავშირი გვიწევდა და ახლაც გვიწევს. ჩვენ შევძელით აგვეშენებინა ათობით მსხვილი თანამედროვე სამრეწველო საწარმო საბჭოთა დახმარების მეოხებით, საბჭოთა კრედიტების, მანქანების, მოწყობილობისა და ტექნიკური დახმარების მეოხებით.

სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობა და უოდვევი სოლიდარობა უდიდესი ძალაა, რომელიც დგას ევროპის მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე, ყველაზე ეფექტიანი დაბრკოლებაა ომის ძალების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ.

ამხელა რა ადენაუერისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების რევანშისტული პოლიტიკა, ვ. გომულკამ თქვა: ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმების პასუხად ჰიტლერის პოლიტიკის მემკვიდრეებს ვეუბნებით: ვერ მოგვწვდებით თქვენი დაპყრობითი თათებით. სახალხო პოლონეთი 1939 წლის პოლონეთი კი აღარ არის. ახლანდელი გერმანიაც წინანდელი მესამე იმპერია როდია. ახლა არსებობს, ვითარდება, ძალებსა და საერთაშორისო ავტორიტეტს იმრავლებს მშვიდობიანი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც დიდი ხანია ცნო პოლონეთ-გერმანიის საზღვარი ოდერსა და ნოისეზე.

სახალხო პოლონეთი, რომელიც ურღვევი ძმური მეგობრობითა და ურთიერთობით არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირთან, ყველა თავის მეზობლებთან, სოციალისტური ქვეყნების მთელ ბანაკთან, დარწმუნებულია, რომ 1939 წლის სექტემბერი აღარასოდეს გამეორდება.

მშვიდობის პოლიტიკა ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც აერთიანებს სოციალისტური ქვეყნების დიად ოჯახს, განაცხადა დასასრულ ვ. გომულკამ, იგი აგრეთვე ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია, რომელიც განამტკიცებს ჩვენს ძმურ ერთიანობას სოციალისტური ბანაკის წამყვან სახელმწიფოსთან — საბჭოთა კავშირთან.

ჩვენი საბჭოთა ამხანაგების მეგობრული ვიზიტი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ხრუშჩოვის მეთაურობით ხელს უწყობს ჩვენი მეგობრობის განმტკიცების საქმეს, მეგობრობისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და მშვიდობიანი განვითარების ყველაზე საიმედო გარანტიაა.

ამხანაგ ვ. გომულკას სიტყვის დროს მრავალგზის გაისმოდა ხანგრძლივი ტაში და მისასალმებელი შეძახილები.

შემდეგ სიტყვა მიეცა ნ. ს. ხრუშჩოვს. მოედანზე კვლავ გაისმა მძლავრი „ვაშა!"

ნ. ს. ხრუშჩოვმა უგულითადესი, უღრმესი მადლობა გადასცა პოლონელ მეგობრებს საბჭოთა დელეგაციის გულთბილი შეხვედრებისათვის, საბჭოთა კავშირისადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობისათვის. დიახ, თქვა მან, საბჭოთა ხალხი თქვენი ყველაზე ერთგული მეგობარი და ძმაა. შეგიძლიათ მტკიცედ ირწმუნოთ ეს, ამხანაგებო! ხაზი გაუსვა რა დიდ წარმატებებს, რომლებსაც პოლონელმა ხალხმა სოციალიზმის მშენებლობის 15 წელიწადში მიაღწია, ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით თქვა, რომ მხოლოდ ახალი სოციალისტური პოლონეთი გახდა ყველა მშრომელი პოლონელის ნამდვილი სამშობლო.

სოციალიზმისა და კომუნიზმის თითქმის მილიარდი მშენებელი, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, შეკავშირებულია ახლა ერთიან და მძლავრ სოციალისტურ ბანაკად მარქს-ენგელს-ლენინის დიადი დროშის ქვეშ. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა სოციალისტური ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების საქმე გახდა. კომუნისტური საზოგადოება, რაც წინათ კაცობრიობის სანუკვარი, მაგრამ შორეული ოცნება იყო, ჩვენს ქვეყნებში იქცევა ახლო მომავლად, რომელიც უკვე ჩვენი თაობისათვის არის მისაღწევი. თუმცა სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ჯერჯერობით სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე არიან, მაგრამ შორს აღარ არის ის დრო, როცა სოციალიზმის ქვეყნების ყველა ხალხი მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს დაიწყებს კომუნისტურ საზოგადოებაში გადასვლას. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო კომუნიზმის მშენებლობას საბჭოთა კავშირში, სოციალისტური წარმოების ორგანიზაციას ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ-ეკონომიურ დონეზე, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ყოველი ღონისძიებით განვითარების საფუძველზე.

კომუნიზმი, თქვა მან, არის პროდუქტებისა და მოხმარების საგნების სიუხვე. მაგრამ კომუნიზმი მარტო ეს როდია. კომუნიზმი არის ყველაზე პროგრესული, ყველაზე მაღალორგანიზებული საზოგადოება, რომელიც კი ოდესმე არსებულა დედამიწაზე, საზოგადოება, რომელშიც არის ყველაზე მაღალი დონე და სადაც არ არის მომქანცველი ფიზიკური შრომა.

ჩვენ, განაგრძო ნ. ს. ხრუშჩოვმა, გვიხარია, რომ შრომისადმი ახალი კომუნისტური დამოკიდებულების პირველი ყლორტები, რომლებიც დიდმა ლენინმა შენიშნა და მხარი დაუჭირა ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე, ასეთ უხვ ნაყოფს იძლევა არა მარტო ჩვენს მიწაწყალზე. ჩვენ ვიცით, თუ შრომის რა გმირები, წარმოების რა ნოვატორები გამოზარდა ნიჭიერმა და შრომისმოყვარე პოლონელმა ხალხმა, რა თავდადებით მუშაობენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელები. ამაშია ჩვენი სოციალისტური ქვეყნის და მთელი ჩვენი დიადი თანამეგობრობის. ძალა და უძლეველობა.

ახალი კომუნისტური საზოგადოება დევგმირულად იზრდება და მტკიცდება, სწრაფად იკრებს ახალგაზრდა ძალებს. მისთვის განუხორციელებელი არაფერია. და რა დაბრკოლებებსაც უნდა ქმნიდნენ ჩვენს გზაზე მშვიდობისა და სოციალიზმის მტრები, ეს დაბრკოლებები დაძლეულ იქნება. ჩვენ მივაღწევთ ჩვენს დიად მიზანს, ავაშენებთ დედამიწაზე ყველაზე კარგ და სამართლიან საზოგადოებას — კომუნიზმს.

ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას და განაცხადა: ყველა ქვეყნის მშრომელთა ძალები ახლა იმდენად გაიზარდა, რომ არის ყველა შესაძლებლობა კიდევ უფრო გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ვითარება, განვამტკიცოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ამჟამად საერთაშორისო მდგომარეობა ცუდი არ არის. სამხედრო ავანტიურების მოყვარულნი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ სოციალისტური ბანაკის მზარდ ძლიერებას, ყველა იმ ხალხის ნებას, რომელნიც უარყოფენ ომს როგორც საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის საშუალებას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პოლონურ ენაზე გამარჯვება უსურვა შრომისმოყვარე პოლონელ ხალხს და მის მოწინავე რაზმს — პოლონეთის მუშათა კლასს, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ვლადისლავ გომულკას მეთაურობით.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვები მქუხარე ოვაციამ დაფარა. გაისმის შეძახილები და მისალმებანი. ისმის სიტყვები: „მშვიდობა", „მეგობრობა", „ნეხ ჟიე! ნეხ ჟიე! ნეხ ჟიე!", „ხრუშჩოვ„", „გომულკა!". დამსწრენი ასრულებენ პოლონურ მრავალჟამიერს— სიმღერას „100 წელი". ისმის პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი".

მიტინგს 120 ათასი კაცი დასწრო.

კატოვიცე, 16 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრისა და კატოვიცის საგოვერნო კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის თანხლებით დღეს ეწვივნენ მაღაროელთა III საერთაშორისო კონფერენციას ამ კონფერენციის პრეზიდიუმის მიწვევით.

დღევანდელი სხდომის თავმჯდომარე ჩინეთის დელეგაციის მეთაური ლი ჩუნ-ჰინი მიესალმა საპატიო სტუმრებს.

კონფერენციაზე გამოვიდა ვ. გომულკა, რომელიც გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილეთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. პოლონეთს, თქვა ვ. გომულკამ, საბჭოთა კავშირთან ახლა მარტო საზღვარი როდი აერთებს. ჩვენ გვაერთებს ერთიანი მიზნები, ერთიანი იდეალები, ერთიანი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. პოლონეთის მუშათა კლასი, განაგრძო ვ. გომულკამ, სხვა ქვეყნების მუშათა კლასთან ერთად მიდის საერთაშორისო სოლიდარობის დროშით. პოლონელი მაღაროელები პოლონეთში სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში დგანან. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიან შეჯიბრებაში.

ვ. გომულკამ წარმატება უსურვა კონფერენციას, აგრეთვე სურვილი გამოთქვა მტკიცდებოდეს მუშათა კლასის ერთიანობა, მთელი მსოფლიოს მაღაროელთა ერთიანობა.

ტრიბუნაზეა გერმანიის გაერთიანებული დელეგაციის ხელმძღვანელი ვ. ლუკასი. თავისი სიტყვის დასასრულს იგი მივიდა ნ. ს. ხრუშჩოვთან და ძმურად გადაეხვია მას.

როცა სიტყვა მიეცა ნ. ს. ხრუშჩოვს, დარბაზში კვლავ იფეთქა ოვაციამ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მხურვალე სალამი გადასცა მაღაროელთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. იგი შეეხო საბჭოთა კავშირის მიღწევებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს შვიდწლიან გეგმას. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს წლის პირველი ნახევრის მუშაობის შედეგები. ჩვენ რწმენით შევყურებთ მომავალს, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა, მომავალს რწმენით შეჰყურებენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები.

შეეხო რა ომისა და მშვიდობის საკითხებს, ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი დგას სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციებზე. საბჭოთა კავშირი, ხაზი გაუსვა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, არასოდეს არ დაიწყებს ომს არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა თანაარსებობა, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

სიტყვის დასასრულს ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშათა კლასს თავისუფლების მოპოვება მხოლოდ კლასობრივი ბრძოლით შეუძლია. ამ სიტყვებს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ბევრი ქვეყნის მაღაროელთა წარმომადგენლები. ყველანი ფეხზე დგებიან და ასრულებენ „ინტერნაციონალს".

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. გომულკამ დაათვალიერეს შახტი „ვუეკი", რომელიც ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავეა პოლონეთში. სტუმრებმა დაათვალიერეს სამთო მექანიზმების მუშაობის ავტომატური კონტროლის მიწისზედა სისტემა. ნ. ს. ხრუშჩოვმა რადიომიკროფონით მიმართა მიწისქვეშ მომუშავე მაღაროელებს და წარმატება უსურვა მათ შრომაში.

კატოვიცე, 16 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები ა. ი. გაევი, ტ. ი. კისელიოვი, ლ. ნ. ეფრემოვი, ნ. პ. ფირიუბინი, ე. ი. გარალიკი და პ. ა. აბრასიმოვი ღღეს იყვნენ ყოფილ ფაშისტურ სიკვდილის ბანაკში ოსვენციმში.

ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ერთ-ერთი მრავალთაგანი ბარაკის „სიკვდილის კედელთან" საბჭოთა დელეგაციის წევრებმა პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას და დადეს გვირგვინი წარწერით:

„საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციისაგან ფაშიზმის მსხვერპლთ".

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები შემდეგ იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს ქიმიურ საწარმოში—ოსვენციმის კომბინატში. აქ მათ დაათვალიერეს პოლონეთის ქიმიის ამ გიგანტის სამრეწველო ობიექტები, იყვნენ სინთეზური კაუჩუკის ქარხანაში, რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის დახმარებით, ესაუბრნენ მუშებს.

კომბინატის დათვალიერების შემდეგ საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები კატოვიცეში დაბრუნდნენ.

კატოვიცე, 17 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით დღეს სილეზიიდან გაფრინდა პოლონეთის დასავლეთ ქალაქ შჩეცინში.

დელეგაციასთან ერთად სილეზიიდან გაემგზავრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი და საბჭოთა სტუმრების სხვა თანმხლები პირები.

სილეზიის მშრომელები გულითადად გამოეთხოვნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს.

ი. მასლენიკოვი.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ქალაქ კატოვიცეში.

* * *

კ. ე. ვოროშილოვი თბილისში

17 ივლისს საქართველოს დედაქალაქი გულთბილად შეხვდა ძვირფას სტუმარს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს, რომელიც მიემგზავრებოდა ერევანში სომხეთის სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადასაცემად.

თბილისის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი შეიკრიბა აეროდრომზე, რათა სულითა და გულით მისალმებოდნენ კ. ე. ვოროშილოვს. აქ მოვიდნენ გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, კ. ნ. გალიკაი, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე. შემხვედრთა შორის იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, კ. ს. ციმაკურიძე, მინისტრები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

აეროდრომზე იყვნენ სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ს. ა. თოვმასიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ე. კოჩინიანი.

1 საათი და 55 წუთია. საჰაერო ლაინერი „ტუ-104" აეროდრომზე ეშვება. დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან კ. ე. ვოროშილოვს. საქართველოსა და სომხეთის სს რესპუბლიკების ხელმძღვანელები და აეროდრომზე შეკრებილნი გულითადად მიესალმნენ კ. ე. ვოროშილოვს, მხურვალედ ართმევენ ხელს.

კ. ე. ვოროშილოვთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე.

აეროდრომიდან კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები ქალაქში გაემართნენ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი ერევანში გაემგზავრა. (საქდესი).

კ. ე. ვოროშილოვის ჩამოსვლა თბილისში. შეხვედრა აეროპორტში. ფოტო ტ. არჩვაძისა და ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალების ქრებული ქართულ ენაზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ქრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის მასალები".

ქრებულში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ", ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა ყრილობაზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის რეზოლუცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო, „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები", საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის დადგენილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევის შესახებ 1961 წელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის მასალების ქრებული გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საქდესი).

მეჯი მომთხოვნელობა, გულისხმიერება, ცოცხალი დახმარება—კადრებს!

საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე

შვიდწლიანი გეგმის ამოცანების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებაში პირველხარისხოვანი როლი ეკუთვნით პარტიისა და სახელმწიფოს კადრებს. განუხრელად უნდა ვხელმძღვანელობდეთ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპით და ხელმძღვანელ სამუშაოზე ვაწინაურებდეთ მომზადებულ, პრინციპულ, ახლის გრძნობის მქონე ადამიანებს, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებსა და ცოდნას მოახმარენ ხალხის კეთილდღეობას, მუშაობაში შეიტანენ ბოლშევიკურ მგზნებარებას, შეურიგებელი იქნებიან ნაკლოვანებებისადმი. ამ მოთხოვნას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახლა, როცა ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

ამ დღეებში შემდგარმა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პლენუმმა განიხილა საკითხი კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ.

— ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა, — თქვა მომხსენებელმა, — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის. ამჟამად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ სამუშაოზე, საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების სათავეში მეტწილად იმყოფებიან მომზადებული მუშაკები, რომლებიც ღრმად ერკვევიან ჩვენი პარტიის პოლიტიკაში, მეურნეობის ეკონომიკაში, უნარი შესწევთ ჯეროვნად დარაზმონ ადამიანები ახალი ამოცანების შესასრულებლად. მნიშვნელოვანწილად ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალაქის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა შვიდწლიდის პირველი წლის ეგეგმი თვის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში, ქვეყანას მისცა მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ილაპარაკა რა კადრების შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, ამხ. გეგეშიძემ აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში 40 კაცმა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ მუშაკთაგან გაიარა მომზადება დაუსწრებელ უმაღლეს პარტიულ სკოლაში. რამდენიმე კაცი სწავლობს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიაში. ფართოდ გავრცელდა სწავლების ისეთი ფორმები, როგორიც არის თეორიული კონფერენციები, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი სემინარები. პერიოდულად ეწყობა სამეურნეო და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

მოხსენებაში და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში ამასთან ერთად მხილებული იყო სერიოზული ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში. სამინისტროების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში ადამიანთა შესწავლას ჯერ კიდევ ფორმალურად, კანცელარიულად უდგებიან: ანკეტის მონაცემების, ცნობების მიხედვით მსჯელობენ მათზე.

პლენუმზე გაკრიტიკებულ იქნენ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც გულგრილად ეკიდებიან ცალკეულ ხელმძღვანელთა მუშაობის ნაკლოვანებებს. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის სათავეში დიდხანს იმყოფებოდნენ სუსტი ადამიანები, რომლებიც მინდობილ საქმეს თავს ვერ ართმევდნენ და ცხოვრებას ჩამორჩნენ. ამაში ბრალი მიუძღვით პარტიის საქალაქო კომიტეტს, ლენინის რაიონულ კომიტეტს, რომლებსაც გაცილებით უფრო ადრე უნდა გაეკეთებინათ ორგანიზაციული დასკვნები ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელთა მიმართ.

მწვავედ გაკრიტიკებულ იქნენ თბილისის წყალსადენის ტრესტის ხელმძღვანელები და კერძოდ, ამხ. შარაშენიძე. მათ არსებითად არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ უკეთ მოეწყოთ ქალაქის მომარაგება წყლით, გაეძლიერებინათ ბრძოლა წყლის გადინებასთან, გაეუმჯობესებინათ წყალსადენის კომუნიკაციების შენახვა, თუმცა ამის შესახებ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს არაერთი გადაწყვეტილება არსებობს.

ლაპარაკობდნენ რა ქალაქის მშრომელთა მომარაგებაზე ბოსტნეულით, მომხსენებელი და კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ ცუდად მუშაობენ თბილინბოსტანგაჭრობა და მისი დირექტორი ამხ. გუგუშვილი, რომელიც თავს ვერ ართმევს მოვალეობას. ამ სავაჭრო ორგანიზაციის მუშაკებს ვერასგზით ვერ მოუწყვიათ ბოსტნეულის სატრანზიტო შემოტანა თბილისის მაღაზიებში სამგორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მინდვრებიდან. ეს საქმე კი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მხოლოდ საჭიროა მეტი მოქნილობა, სიმტკიცე და ინიციატივა.

პლენუმზე მოყვანილი იყო კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების მრავალი ფაქტი. საქართველოს სარეწაო საბჭოს არტელები დანაგვიანებულია საეჭვო რეპუტაციის, სახელგატეხილი ადამიანებით, მაგრამ მათ თავიდან არ იშორებენ, არამედ ადგილიდან ადგილზე გადაჰყავთ.

პარტიის კიროვის რაიკომმა განიხილა საქართველოს მონადირეთა კავშირის — „მონკავშირის“ დამხმარე წარმოების სამეურნეო საქმიანობის საკითხი. დირექტორის ამხ. პაპუაშვილისა და ტექნიკური ხელმძღვანელის ამხ. ყღენტის უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის შედეგად ამ გეგმებს ვერ ასრულებდნენ, დაბალხარისხოვან, არასტანდარტულ პროდუქციას უშვებდნენ. მაგრამ წარმოების ხელმძღვანელები არ დაუსჯიათ. ისინი ოდნავ დატუქსეს, შემდეგ კი ამხ. პაპუაშვილი გაათავისუფლეს... ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხოლო ამხ. ყღენტი... ამ წარმოების დირექტორის თანამდებობაზე დააწინაურეს.

მოყვანილი იყო სხვა მაგალითებიც, როცა უპრინციპობას იჩენენ, არა სურთ გაიფუჭონ ურთიერთობა სახელგატეხილ მუშაკებთან. სამსახურებრივი მდგომარეობის ანგარებითი მიზნებით გამოყენებისათვის თავის დროზე სამუშაოდან მოხსნილ იქნა მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატის დირექტორი ამხ. კირსელიძე. გაიდა ცოტა ხანი, და იგი ისევ აღმოჩნდა დირექტორის პოსტზე. „ლავიშიანი მუსიკალური - ინსტრუმენტების ფაბრიკაში, რომელიც ახლა შენდება.

პლენუმის ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების დაწინაურებასთან, ტექნიკური პროგრესის ათვის ბრძოლაში კადრების როლის ამაღლებასთან, მასებში პარტიული, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებასთან.

პლენუმზე გამოსულმა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა კ. გარდაფხაძემ ილაპარაკა ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის შესახებ. მან თქვა. რომ რაიონის ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი სასწავლებლები ახლა უკეთ წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს, მაგრამ მათს პრაქტიკულ საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მთელ რიგ ინსტიტუტებში კათედრების ხელმძღვანელებად არიან ხანდაზმული ადამიანები, რომლებსაც უჭირთ ძალების მთელი დაძაბვით იმუშაონ. ეს იწვევს მოდუნებას, იმას, რომ ხელოვნურად ფერხდება ახალგაზრდა კადრების წინ წაწევა.

თავის გამოსვლაში ამხ. გარდაფხაძემ მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში ზოგჯერ ისეთ კადრებს არჩევენ, რომლებსაც ჯეროვანი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები არა აქვთ, რომ პარტიული ორგანიზაციები სათანადოდ არ მუშაობენ ამ საკითხზე.

ახალგაზრდა კადრებთან მუშაობაზე, მათს აღზრდაზე ილაპარაკეს პლენუმზე აგრეთვე საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორმა ი. ბუაჩიძემ, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. კაჭარავამ და სხვებმა.

დიდმნიშვნელოვანი საკითხი აღძრა ამხ. ბუაჩიძემ. მან თქვა, რომ უმაღლესი სასწავლებლები სუსტად ეხმარებიან ახალგაზრდა სპეციალისტებს, საკმაოდ არ არიან დაკავშირებული მათთან. მიზანშეწონილია ინსტიტუტთან შეიქმნას ფაკულტეტი ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დახელოვნებისათვის. ეს საჭიროა იმისათვის, რომ ისინი ცხოვრებას არ ჩამორჩნენ, იყონ ყოველივე იმ ახლის, მოწინავის კურსში, რაც მეცნიერებასა და პრაქტიკაში იბადება. იგი შეეხო საღამოს და დაუსწრებელი სწავლების ქსელის გაფართოებასაც. ინსტიტუტის საღამოს განყოფილების ახალი ფაკულტეტები იქმნება ქუთაისსა და რუსთავში, ხოლო სოხუმში — დაუსწრებელი განყოფილების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ჯეროვან დონეზე არ წარმოებს კადრებთან მუშაობა თბილისის საქალაქო აღმასკომის სისტემაში. აქ ხშირად სამუშაოზე იღებენ შემთხვევით ადამიანებს, სახელგატეხილი მუშაკები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავთ, სუსტად წარმოებს ბრძოლა ნაკლოვანებებთან. ქალაქის აღმასკომის პარტიული ორგანიზაცია საკმაოდ არ მუშაობს კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებზე. აპარატში მუშაობს ბევრი დახავსებული, ახლის გრძნობას მოკლებული მუშაკი.

პლენუმზე გამოსულმა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ვამბაკიძემ სწორად ცნო კრიტიკა ქალაქის აღმასკომის, მისი პარტიული ორგანიზაციის მიმართ. მან თქვა, რომ ნაკლოვანებანი, რომლებზეც ლაპარაკი იყო მოხსენებაში და პლენუმის მონაწილეთა გამოსვლებში, იმის შედეგია, რომ დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს მუშაობა კადრებთან, არ იჩენენ ზრუნვას მათი შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის.

— ქალაქის აღმასკომის კადრებზე, — თქვა ამხ. ვამბაკიძემ, — უნდა ვიმსჯელოთ არა მარტო იმის მიხედვით, რასაც ისინი საქალაქო მეურნეობის განვითარებისათვის, საბინაო მშენებლობისათვის აკეთებენ, არამედ იმის მიხედვითაც, თუ როგორ მუშაობენ ისინი ადამიანებთან, რამდენად იჩენენ ყურადღებასა და ჯეროვან ხმიერებას მშრომელთა საჩივრებისა და მოთხოვნილებებისადმი.

შემდეგ ამხ. ვამბაკიძემ მოიყვანა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ქალაქის აღმასკომისა და რაიაღმასკომების ყველა მუშაკს ხოდი აუღია ხელი ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებაზე. არის საკითხები, რომლებიც შეიძლება ოპერატიულად, ერთ-ორ დღეში გადაიჭრას, მაგრამ გადაწყვეტა კი თვეობით ჭიანურდება. ქალაქის აღმასკომის აპარატში უთვრგისი კადრები არიან, მაგრამ მათ სპეციალისტებით არ ცვლიან, ეს კი გავლენას ახდენს მუშაობაზე. კადრების მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ არის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს საწარმოებშიც, რაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა. სერიოზული ნაკლოვანებებია ვაჭრობაში, საზოგადოებრივი კვებისა და კომუნალური მომსახურების საწარმოებში სამუშაოდ კადრების შერჩევაში, სუსტად აწინაურებენ ხელმძღვანელ სამუშაოებზე ქალებს.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტკომის მდივანმა ო. ოოლაშვილმა ილაპარაკა იმ მუშაობაზე, რომელსაც პარტორგანიზაცია ეწევა კადრების აღზრდელად მაღალი მომთხოვნელობის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით.

შეეხო რა მუშაობის ნაკლოვანებებს, ამხ. ოოლაშვილმა თქვა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის დაკომპლექტებისას საჭირო არ იყო ზოგიერთი მუშაკის გადმოყვანა რაიონებიდან. მაგალითად, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველოს მოწყობილობის განყოფილების უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე ზესტაფონიდან გადმოიყვანეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ამხ. გაბუნია, თუმცა ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვდა.

კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში ნაკლოვანებების აღმოფხვრასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები აღძრეს თავიანთ გამოსვლებში პარტიის 26 კომსომოლის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ბუდუმიანმა და პარტიის კალინინის რაიკომის მდივანმა ამხ. ო. ნიმსაძემ. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ნათლიმამობასა და ძმაბიჭობას კადრების შერჩევაში, უფრო გაბედულად ვაწინაურებდეთ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდობას.

პლენუმზე გამოვიდნენ აგრეთვე ქ. თბილისის პროკურორი ამხ. ა. პაიჭაძე, ამხ. ა. პეხოტინი და ქალაქის აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ამხ. ი. გეტაშვილი.

პლენუმმა მიიღო გაშლილი გადაწყვეტილება, რომელიც მიმართულია კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში ნაკლოვანებათა აღმოფხვრისაკენ. მათი როლის ამაღლებისაკენ პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ერთი კოლმეურნეობა დააჯილდა, მეორეც ანკეტზეა

შალვა ტყეშელაშვილი საქმის საფუძვლიანი ცოდნითა და ორგანიზატორული ნიჭით როდი გამოირჩეოდა. სამამულო ომის წლებში იგი ქუთაისის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის საშენ მასალათა წარმოებას ხელმძღვანელობდა. ახლა ძნელია იმის დადგენა, რა დაიმსახურა ან ვის რა ასიამოვნა მან იმ ხანად. ასე იყო თუ ისე, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის ბიუროს 1944 წლის თებერვლის ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინა: „ქვიტირის კოლმეურნეობა „შრომის“ თავმჯდომარედ კოლმეურნეთა საერთო კრების წინაშე რეკომენდაცია მიეცეს შალვა გიორგის-ძე ტყეშელაშვილს“.

ამგვარად, ქვიტირლებს თავმჯდომარედ მოევლინა ქალაქ ქუთაისში მცხოვრები შალვა ტყეშელაშვილი. დიდი უნარით როდი უძღვებოდა კოლმეურნეობას, მაგრამ იქნებ წელი მაინც ითვლებოდა ამ თანამდებობაზე. 1950 წლის 1 ნოემბერს კი რაიკომის ბიუროს დაადგინა: „სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის განთავისუფლებულ მოადგილედ დამტკიცდეს ამხ. შ. ტყეშელაშვილი და განთავისუფლდეს იგი ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან“.

ამ ოპერაციის მიზეზი არც რაიკომის ბიუროს ჩაუწერია თავის დადგენილებაში და ამაზე არც ტყეშელაშვილს „ახსოვს“ ახლა რაიმე. მაგრამ ერთი კი ცხადია: რაიკომმა მთლად მოსახსნელად ვერ გამიტა ტყეშელაშვილი, ხოლო ეს უკანასკნელიც არ წუნობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის განთავისუფლებულ მოადგილეობას.

გავიდა ორი წელი. 1952 წლის 23 აგვისტოს რაიკომის ბიუროს განიხილა ქვიტირის კოლმეურნეობის შემოწმების შედეგები. სუსტი ხელმძღვანელობისა და საფინანსო დისციპლინის მეტად უხეში დარღვევისათვის შ. ტყეშელაშვილს საყვედური გამოეცხადა. მაგრამ სასჯელმა შ. ტყეშელაშვილს ჯაფა ვერ ასწავლა — ქვიტირის კოლმეურნეობა კვლავ ცუდად მუშაობდა. 1954 წლის თებერვალში კი შ. ტყეშელაშვილს სოფელ ნაგარევის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ირჩევენ.

> **„...ზოგიერთ კოლმეურნეობაში თავმჯდომარეთა პოსტებზე დიდ ხანს არიან ცუდი მუშაკები, ზოგმა თავმჯდომარემ სამი კოლმეურნეობა დააქცია და მეოთხეს უთვალთვალებს. პარტიული ორგანიზაციები კი სუსტად იბრძვიან ასეთი ბოროტების წინააღმდეგ“.**
>
> ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე.

მეექვსე წელია მუშაობს შ. ტყეშელაშვილი ნაგარევში. დრო თითქოს საკმარისია ჩამორჩენილი კოლმეურნეობის წინ წამოსაწევად. თავმჯდომარე კიდევაც გვარწმუნებს, ძველ მდგომარეობასთან შედარება არ შეიძლებაო. მაგრამ სინამდვილე სხვაზე მეტყველებს. 1958 წელს მოსავლიანობამ ნაგარევში შეადგინა: 9 ცენტნერი სიმინდი, 2,1 ცენტნერი სოია, 7,4 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე.

დაბალია შრომადღის ღირებულებაც. შარშან ერთ შრომადღეზე გაიცა 2,2 კილოგრამი მარცვლეული და ფულად 53 კაპიკი.

კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაცია და დისციპლინა მოშლილია. წელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პირველ პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა მეხუთედს.

ქოსური მდგომარეობაა საწყობში, სალაროში, საკოლმეურნეო ქონების აღრიცხვა-გაცემაში. მარტო ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობაში დებიტორული დავალიანება 119.242 მანეთს შეადგენს, მრავლისმეტყველია. თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ტყეშელაშვილს ანგარიშვალდ 1958 წლიდან აწერია 2.944 მანეთი, მოლარე-საწყობის გამგეს გ. ბურჯანაძეს — 2.673 მანეთი, კოლმეურნეობის ყოფილ ბუხჰალტერს ე. ლომთაძეს — 2.572 მანეთი, სასოფლო საბჭოს მდივანს კ. ალფაიძეს — 979 მანეთი. კოლმეურნეობის სავაჭროში 1956 წელს უმუშავნია ჭოგნარელ ნ. გოგიაშვილს, რომელზეც 5.324 მანეთი დავალიანება ირიცხება. კოლმეურნეობას ქუთაისში ამჟამადაც აქვს ხორცის სავაჭრო, სადაც ხელს ითბობენ კომბინატორები. იქ მუშაობს ქუთაისელი ვინმე ვ. ფერაძე, სავაჭროს გამგედ ითვლება ნაგარეველი შ. ტყავაძე. მათს აღრიცხვას თუ დავუჯერებთ, სავაჭროში ყოველდღიურად მხოლოდ 14 კილოგრამი ხორცი იყიდება. გამოდის, რომ ამისთვის „ცდება“ ორი კაცი, მთელი საგაჭრო. ამას მხოლოდ გულუბრყვილოები დაიჯერებენ.

ბევრ რამეში ბრალი თვით შ. ტყეშელაშვილი გამოიყურება პატიოსნად. ჯერ კიდევ 1956 წელს მისი განკარგულებით ობლიგაციების შესაძენად გაცემულია 5 ათას მანეთზე მეტი. სალაროში მხოლოდ ხელწერილები ინახება, თანხა კი ამოუღებელია.

კოლმეურნეობას ამ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისში მცხოვრებ ვ. ხუჯაძისაგან 2.700 მანეთად შეუძენია ხბოიანი ძროხა. სინამდვილეში პირუტყვი კოლმეურნეობაში არ მოუყვანიათ. თანხის გაცემის საბუთი 1958 წლის დეკემბრამდე სალაროში ინახებოდა. მხოლოდ ამის შემდეგ დააწერეს ვ. ხუჯაძეს, მაგრამ თანხა კვლავ ამოუღებელია.

საწყობიდან პროდუქტების გაცემაშიც არევ-დარევაა. მოლარე-საწყობის გამგეს გ. ბურჯანაძეს 1.115 კილოგრამი ზეიმდენი სიმინდი აღმოაჩნდა. მან ერთიერთ დამხმარე სალაროს არაოფიციალური საბუთები მოიშველია, შემდეგ კი 710 კილოგრამი სიმინდისა და 80 კილოგრამი სოიის დანაკლისი აღმოაჩნდა.

კიდევ უარესი მდგომარეობაა ფერმაში. აქ პირუტყვის ზუსტი აღრიცხვაც არ გააჩნიათ. ხბოების კვება წოვებით ხდება. მოწოვილ რძეს შეჩეიდულებისამებრ უმატებენ ფაქტიურად მიღებულს და ამით თითქოს სრულდება წველადობის გეგმა. ზუსტი არ არის ნამატის აღრიცხვა. მაისში ორ დღე ღორზე შვიდი გოჩი მიუღიათ, შემოსავალში კი მხოლოდ ხუთი გაუტარებიათ.

ამჟამად სოფელი ნაგარევი თერჯოლის რაიონში შედის. ვფიქრობთ, პარტიის თერჯოლის რაიკომი შეისწავლის ნაგარევის კოლმეურნეობაში შექმნილ მდგომარეობას და სათანადო ზომებს მიიღებს კადრებით მისი განმტკიცებისა და ეკონომიურად წინ წამოწევისათვის.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ი ზ ი ა რ ე ბ ე ნ გამოცდილებას

წელს საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონისა და ცხაკაიას რაიონის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებას.

ამას წინით გუდაუთელებმა ცხაკაიას რაიონში გაგზავნეს დელეგაცია სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის შესამოწმებლად.

გუდაუთის მშრომელთა დელეგაციამ დაათვალიერა ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის, ზანის ყუდნოვის სახელობის კოლმეურნეობები, იყო ძველი სენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობაში, ხალჩიების საქსოვ ფაბრიკაში, კურორტ მენჯში და მთელ რიგ სხვა ადგილებში, გაეცნო რაიონის მოწინავე ადამიანებს, მათი მუშაობის გამოცდილებას.

ს. კუჭავა.

მ ე ტ ა ლ უ რ გ ი ს დ ღ ი ს შ ე ს ა ხ ვ ე დ რ ა დ

★ ★

გამოჩნდნენ ახალი სახელები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი წარმატებით იბრძვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ პირველი და მეორე საამქროების კოლექტივები, რომლებსაც გამოცდილი ინჟინერები მ. რაზმაძე და შ. თედორაშვილი ხელმძღვანელობენ. მეტალურგებმა თავიანთი დღესასწაულის აღსანიშნავად დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ივლისის პირველი დეკადის დავალება.

ფერომდნობელებმა რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით 600 ათასი მანეთის წლიური ეკონომია გასწიეს, ხოლო თვითღირებულების შემცირებით ორ მილიონ მანეთამდე დააგროვეს.

მეტი ლითონისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოირჩევიან კ. მდივნის, ი. კოვზირიძის, კ. ცქიფურიშვილის, რ. სხილაძის, შ. დადუნაშვილის, ს. კვინიკაძის, ს. ფერაძის კომუნისტური შრომის სახელწოდებისათვის მებრძოლი ბრიგადები.

სწრაფი ტემპით

ჭიათურა. (საკ. კორ.). კიროველ ჩარხმშენებელთა მოწოდების საპასუხოდ და მეტალურგის დღის აღსანიშნავად ჭიათურელი მაღაროელები აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ზრდიან მარგანეცის გამოღებას. ამ დღეებში განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად შრომობენ ვორონილოვის, კალინინის, დიმიტროვის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებმაც ივლისის პირველი დეკადის დავალებები 105-108 პროცენტით შეასრულეს.

დაწინაურდა აგრეთვე ლენინის სახელობის მაღაროს ერთ-ერთი გვირაბის კოლექტივი, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ე. გიორგობიანი ხელმძღვანელობს. გვირაბის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა და თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის ფონდში შეიტანა 400 ათასი მანეთი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ მეფოლადეს, რომელიც დაკვირვებით ადევნებს თვალყურს დნობის პროცესს. იგი ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს ცნობილი მეფოლადე ლ. მეტრეველია, რომელიც ყოველთვის მოწინავე მეფოლადეთა რიგებში დგას. ლ. მეტრეველი საწარმოო ხაჩუქრებით ხვდება მეტალურგიის დღეს. მან წელს ასობით ზეგეგმითი ფოლადი მისცა სამშობლოს. სურათზე: მოწინავე მეფოლადე ლ. მეტრეველი.

ფოტო ხ. ონანოვისა და გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

140.000 ცალი ბალასავალ!

იცნობდეთ, მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩაის კრეფაში

ცხაკაია. **მ. ქუთელიამ** სოფელ ფოცხოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 87 კილოგრამი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 25 კილოგრამისა. **ნელი მალანიამ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 55 კილოგრამი ჩაი, დღიური დავალება ორმაგად შეასრულა. **ბ. გუნავა** მუშაობს სოფელ ხორშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მან მოკრიფა 80 კილოგრამი ჩაის ნედლეული ნაცვლად 25 კილოგრამისა. **ვენერა პაჭკორიამ** ამავე კოლმეურნეობაში მოკრიფა 54 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური ნორმა 200 პროცენტით გაანაღდა.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების გეგმის შესრულება საქართველოს სს რესპუბლიკაში

1959 წლის 15 ივლისისათვის

	გეგმის შესრულება პროცენტობით: წლიური გეგმისა	ივლისის გეგმისა
ქობულეთის რაიონი	60,9	44,5
ბათუმის	60,3	47,4
ქედის	56,0	44,0
სულ აბარის ასსრ	60,8	45,2
გალის	70,9	58,4
ოჩამჩირის	65,0	49,3
სოხუმის	74,5	53,7
გუდაუთის	70,3	33,0
სულ აფხაზეთის ასსრ	69,0	52,3
მახარაძის	61,8	33,5
ჩოხატაურის	68,9	39,8
ლანჩხუთის	61,7	36,5
სამტრედიის	60,9	33,5
წულუკიძის	56,6	26,1
წყალტუბოს	72,0	42,4
ტყიბულის	79,2	73,8
ცხაკაიას	68,7	45,4
ობაშის	64,7	33,0
ვეგეტკორის	64,9	49,4
ზუგდიდის	63,6	50,7
ჩხოროწყუს	66,2	50,7
წალენჯიხის	65,1	57,1
ხობის	69,2	49,6
თერჯოლის	73,0	28,2
ზესტაფონის	96,7	28,6
ვანის	62,5	40,0
ქალაქი ჭიათურა	124,2	100,0
ქალაქი ფოთი	33,3	—
სულ საქართველოს სსრ-ში	64,4	45,1

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო.

9 აგვისტო — ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღე

სსრ კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადის მოწყობასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ფიზკულტურელის სრულიად საკავშირო დღის დღესასწაული მიმდინარე წელს 18 ივლისიდან გადაიტანოს კვირას — 9 აგვისტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შედიხართ საქართველოს პავილიონში

შთაბეჭდილებანი და შენიშვნები

ლამაზი და გულუხვია საქართველო, რას არ შეხვდებით მის თვალშეუწვდენ მთებში და აზურშუხტებულ ბარში. დედამიწა გამრჯე ადამიანებისათვის ხვავსა და ბარიქას არ ეშურებს და უხვად აძლევს თავის ბუნებრივ სიმდიდრეს.

საქართველოს პავილიონში შეხვალ თუ არა, ერთი სურვილი გებადება—ნახო ის, რაც ამ მაღლიან მხარეს გააჩნია. გინდა ყველაფერი ისე იყოს, როგორც ჩვენს სანაქებო რესპუბლიკაშია. გინდა ამ ლამაზ პავილიონში ნახო მთლად საქართველო.

შესასვლელშივე დაგხვდებათ საქართველოს რუკა-მაკეტი, რომელზეც ასახულია ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრე, ის, რაც შექმნა სოციალისტური ქვეყნის ადამიანის გონებამ და გამრჯე მარჯვენამ.

სტენდებზე ასახულია ჩვენი რესპუბლიკის ძმიმე ინდუსტრიის განვითარების გზა. ეს დიდი მილები ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიულ ქარხანაში მზადდება. ფოლადისა და თუჯის ნაგლინი, წვრილსორტული ნაწარმი ამ ქარხნის პროდუქციაა. რუსთავის მეტალურგებმა მთელ საბჭოთა კავშირში გაითქვეს სახელი და სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ სტალინოელ და მაგნიტოგორსკელ მეტალურგებს. თვითსუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი მეტალურგები მთი ღირსეული მეტოქენი არიან.

წინათ ურმისა და ცხენის ეტლების მხარეში საკუთარი წარმოების ავტომანქანებიც დაჭრიან. ქუთაისის საავტომობილო ქარხანა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავეა.

ამით როდი დაკმაყოფილდნენ ქართველი მანქანათმშენებლები. ყოველდღიურად უმჯობესდება ავტომანქანების კონსტრუქცია. აი ეს „რიონია“, რომელიც ქუთაისის მანქანათმშენებლებმა შექმნეს, ეს კი, „თბილისი“ რომ აწერია, თბილისელ მანქანათმშენებლების მიერ არის აგებული. ორივე ეს ტრაქტორი მაღალმოსავლიანობის ადგილებში, ყველა კუთხე-კუნჭულში შეგახედათ და სიხარულითა და სიუხვით გული აგიესოთ. გამოდახართ და სხვასაც გინდათ გაუზიაროთ მდიდარი შთაბეჭდილებანი, გინდათ უთხრათ: — მოდი, ნახე საქართველო, მისი მთა და მისი მდელო!

პავილიონის თითქმის ერთი კედელი მეევნახეობა-მეღვინეობის სტენდს აქვს დათმობილი. სტენდზეა ჩვენი სანაქებო ღვინოები: „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ხვანჭკარა“, „ხიხვი“, „ახმეტურა“, „ტიბაანი“, „თეთრა“, „ტვიში“, „მუკუზანი“, „თელიანი“, „გურჯაანი“ და სხვ., რომლებმაც არა მარტო საქართველოსა და სამეჭოთა კავშირში, არამედ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს გარეთაც გაითქვეს სახელი და ღვინოების საერთაშორისო დეგუსტაციებზე ოქროსა და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

ცალკე სტენდი აქვთ დათმობილი გურჯაანელ მეევნახეებს, რომლებმაც თავი ისახელეს ყურძნის უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღებით. სოფელ შაშიანის კოლმეურნეობას 212 ჰექტარი ზვრები აქვს, აქედან 105 ჰექტარი სრულმოსავლიანია. შარშან საშუალოდ ჰექტარზე 114,2 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს და ჰექტარზე 26.700 მანეთი შემოსავალი მიიღეს. თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი ცნობილი მეევნახეების, გამოფენის მონაწილეების ი. აბაშიძისა და გ. დიმელიშვილის ფოტოსურათები.

სტენდის საშუალებით აფხაზეთში გადადიოართ. გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან 51 ჰექტარის საშუალოდ ჰექტარზე 210 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, მარტო მეევნახეობიდან 4,3 მილიონი მანეთი მიიღო.

გადახედეთ ამ სტენდს. აქ მეჩაიეობაზეა ყველა ექსპონატი. აკვირდებით ფოტოსურათებს, დიაგრამებს, და თითქოს საქართველოს შავიზღვისპირეთში მოხვედით. ჩაი, ჩაი და ყველგან ჩაი! საბჭოთა კავშირში ჩაის 97 პროცენტზე მეტი საქართველოში მოჰყავთ. გალის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ნ. ბულისკირიამ შარშან 0,5 ჰექტარზე 14.200 კილოგრამი ჩაი მოკრიფა. ასეთი მოსავალი მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში ჯერ არ მიუღიათ, ეს მიღწეულია მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიის ფართოდ გამოყენებით. სტენდებზეა ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობის ექსპონატები. ეს კოლმეურნეობა გამოფენის მონაწილეა. შარშან კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. როგავა) 297 ჰექტარის საშუალოდ ჰექტარზე 5.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს, 1965 წელს კი 7.000 კილოგრამს მოკრეფენ. ასეთია მათი ვალდებულება. მარტო ჩაით შარშან 15.228 ათასი მანეთი მიიღეს, ანუ ჰექტარზე 51,3 ათასი მანეთი. თვითეულ ცენტნერ ჩაის მწვანე ფოთოლზე 10,4 შრომადღე დაიხარჯა. შემდეგ სტენდს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გადავყვართ. ინსტიტუტისა და აკადემიკოს ქ. ბახტაძის შრომითს საქმიანობაზე მოგვითხრობენ გამოფენის მასალები. აქ არის ქ. ბახტაძის მიერ გამოყვანილი ჩაის №№ 1, 2, 3, 4, და 7 ნამუშები.

ეს კი ქართველ მეხილეთა სტენდია. ხეხილის ბაღებს რესპუბლიკაში 114 ათასი ჰექტარი უჭირავს. შარშან 82 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ხილი ჩაბარდა სახელმწიფოს, 1965 წელს კი 150 ათასი ტონა ჩაბარდება. გორის რაიონის მინურინის სახელობის კოლმეურნეობამ 105 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე 126 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ამავე რაიონის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მებაღე მ. რჩეულიშვილმა ერთ ჰექტარზე შარშან 806 ცენტნერი ვაშლი მოკრიფა. მისი სურათი ახლა ჩვენი რესპუბლიკის პავილიონშია, როგორც გამოფენის მონაწილისა.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ზოგი რამ ჯერ კიდევ აკლია ჩვენს პავილიონს; ზოგი ნაკლი ახლავს თან.

მართალია, შთაბეჭდილებათა წიგნში ბევრი მნახველი აღფრთოვანებულ სტიკვებს წერს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა უფრო კარგად მოგვეწყო პავილიონი, ხომ შეიძლებოდა სტენდები უფრო ლამაზად გაგვეფორმებინა.

სუსტად არის წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენმა ბალეტმა „ოტელომ“ და მისმა შემქმნელებმა ხომ საკვიყნოდ გაითქვეს სახელი, ნ. რამიშვილმა და ი. სუხიშვილმა კი თითქმის მთელი მსოფლიო ფეხის ცეკვებით შემოიარეს. მათს შესახებ, აგრეთვე ჩვენი თეატრების, კინოსტუდიის საუკეთესო დადგმებზე არაფერი არ არის ნათქვამი.

არც ის არის მოსაწონი, რომ სტენდებზე აწყვია მხოლოდ ის წიგნები, რომლებიც ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამდე კარგა ხნით ადრე გამოიცა. ამასთან ბევრი ცნობილი მწერალი არ არის წარმოდგენილი გამოფენაზე.

1.500 წლის ჭაღარა, მაგრამ მარად ახალგაზრდა თბილისსა და მსოფლიოში სახელგანთქმულ საქართველოს კურორტებზე ორიოდე ფოტოსურათი სრულ წარმოდგენას ვერ იძლევა.

პავილიონის უკანაც შეეიხედეთ. აქ პროდუქტების მაღაზიაა. მაგრამ შიგ ქართული არაფერი არ არის. არ ჰყიდიან ხილს, არა აქვთ ბორჯომისა და ტყბილი წყლები; ხილი კი რამდენჯერმე აუხახეთისა და მოლდავეთის პავილიონებიდან მოტანილი გაჰყიდეს. განა საქართველოში ხილი არ არის?

ერთი შენიშვნაც: ყველა რესპუბლიკის პავილიონში ისმის ეროვნული მუსიკის ხმა. საქართველოს პავილიონში კი ორიოდე ძველი ფირფიტა სამეს ვერ შველის.

ამ ნაკლოვანებებზეც წერენ მნახველები შთაბეჭდილებათა წიგნში და, გეფიერობთ, ეს ყურადსაღებია. მათ მხოლოდ კეთილი სურვილები ამოძრავებთ.

ვ. გოგუალიშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

* * *

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა. საქართველოს პავილიონი. სხვა დამთვალიერებლებთან ერთად დიდი ინტერესით ეცნობიან ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს უცხოელი ტურისტები. სურათზე: ფრანგი ტურისტები ფეხსაცმლის სტენდთან.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

მ ა თ ი მ ა რ ჯ ვ ე ნ ა

ვ ნ ა ხ ო თ, ვ ი ნ ვ ი ს ა ჯ ო ბ ე ბ ს!

— **ოთხი ათასი** ტონა საუკეთესო ხარისხის თამბაქო სახელმწიფოს! — ეს ლაგოდეხელებმა იკისრეს. მისი განაღდება ადვილი როდია, მაგრამ მონდომებას ბევრი რამ შეუძლია.

აფენის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაციები 178 ჰექტარზეა გადაჭიმული. ეს შარშანდელზე გაცილებით მეტია. ცხრა ბრიგადა მუშაობს და ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა თამბაქოს მზრუნველობას არ აკლებს. მოწინავეთა შორის მოწინავეებად შ. ნოზაძისა და ვ. კაპანაძის ბრიგადებს ასახელებენ.

რგოლების მუშაობას გაეცანით და წუნი ვერაფერში შევიტანეთ. მესამე ბრიგადაში რგოლებს ბიძაშვილები გოგოლა და ნინელი გოგოლაძეები მეთაურობენ. ისინი სიმწიფის ატესტატის მფლობელნი არიან. მათი თამბაქოს პლანტაციები, რომ იტყვიან, ავთვალს არ ენახვება. საშუალოდ ჰექტარზე 20 ცენტნერისათვის იბრძვიან ნაცვლად 12 ცენტნერისა.

აფენელებმა თამბაქოს პირველი შეტეხა გაიჩაღეს. ამ საქმეზე ყოველდღიურად ხუთასზე მეტი ადამიანი მუშაობს. საშრობებში პირველი 160 ათასი ზონარმეტრი თამბაქო შეიტანეს.

— თამბაქოს ისეთი მოსავალი, როგორიც წელს არის, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სერგო ცოტაძემ, — აფენელებს თითქმის არასოდეს არ ჰქონიათ.

* * *

ჭაბუკიანის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის თამბაქოს პლანტაციები, რომლებიც 170 ჰექტარს აღემატება, გულდასმით დავათვალიერეთ. კოლმეურნეები პირველ შეტეხას აწარმოებენ. თამბაქოს პლანტაციები ყველგან კარგია, მაგრამ ლ. გოგრიჭიძისა და ს. კობერიძის ბრიგადებს მაინც ბადალი არა ჰყავთ. სხვა რომ თექვსმეტ ცენტნერს მიიღებს, ისინი ოცსაც არ დასჯერდებიან. კოლმეურნეობაში მოწინავენი ერთი და ორი კი არა, ასეულობით არიან.

თამბაქოს მოსავლის აღებას არც ლელიანის, შრომის, კალინოვკის, ცოდნისკარის, ყარსუბნისა და სხვა კოლმეურნეობები აგვიანებენ. ვნახოთ ვინ ვის აჯობებს!

მ ე თ ა მ გ ა ძ ო ე თ ა გ უ ლ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ი

მიდიხარ სოფლებში, და ძალაუნებურად თვალს იტაცებს აივნებსა, ღობეებსა და ხეებზე ჩამოკიდებული ანემსილი თამბაქო. ჩვენ იგი საკარმიდამო ნაკვეთებიდან მიღებული გვეგონა. ფაქტიურად კი სხვა გამორიცხა. იგი კოლმეურნეობებს ეკუთვნით. თურმე ნუ იტყვით, საშრობები არა ჰყოფნით და იძულებული არიან თამბაქო სახლებში გაახმონ, შემდეგ კი კოლმეურნეობის საწყობს ჩაბარონ. ზოგმა გულისტკივილით გვითხრა, ღამით სახლებში ვერ შეეგდივარო, თამბაქოთია სავსეო.

მიმდინარე წლის მარტში რაიონის ცენტრში თათბირი გაიმართა. იგი თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს მიეძღვნა. ორატორებმა, მათ შორის საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ჯომარჯიძემ, ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება წამოაყენეს თამბაქოს ხარისხის გასუმჯობესებლად.

მერე რა გამოვიდა? ჯერჯერობით არაფერი. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა საშრობები ააგეს, მაგრამ სახურავი ვეღარ იშოვნეს. ასეა ჭაბუკიანში, აფენში და სხვაგან. კოლმეურნეებს ათასობით კუბმეტრი ხე-მასალა სჭირდებათ, მაგრამ სად არის? საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირში ხშირად იგზავნება ქაღალდები, მაგრამ შედეგი არა ჩანს.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

* * *

სურათზე: ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის „ბრავდის“ სახელობის კოლმეურნეობის თამბაქოს მოწინავე შემტეხი რუსუდან ბოყაძე.

ფოტო შ. გურჯანელისა.

ხარაჩოებზეა თბილისის ახალგაზრდობა

გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამედიცინო, პუშკინის სახელობის პედაგოგიური, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა, ფიზკულტურის, პოლიტექნიკური ინსტიტუტების, საფინანსო ტექნიკუმების, კბილის სატექნიკო და ავიაქრო-კოლანური სასწავლებლების 1.500-მდე სტუდენტმა და მოსწავლემ პირველი ივლისიდან მუშაობა დაიწყო ქალაქის სხვადასხვა მშენებლობებზე.

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და აკადემიკის, ელექტრონიკისა და ტელემექანიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალი კორპუსების მშენებლობაზე დაიწყეს მუშაობა.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის № 182 ჯგუფიდან დაკომპლექტებული ბრიგადა, რომელსაც სტუდენტი რ. გეგეშიძე ხელმძღვანელობს, თავისი შრომითი საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩევა მთელ მშენებლობაზე. თავდადებული შრომით ბრიგადა 8-10 კუბ. მეტრ ბეტონს ასხამს და დღიურ გეგმას 120-150 პროცენტით ასრულებს. გეგეშიძის ბრიგადას არც ვ. ბერუაშვილის ბრიგადა ჩამორჩება.

უნივერსიტეტის 16 სტუდენტი „მთავართბილმშენის“ მესამე კანტორაში მტკვრთავ მუშად მუშაობს.

ასევე ხალისითა და მჭნდომებით შრომობს ფიზკულტურის ინსტიტუტის 100-მდე სტუდენტი. ისინი აშენებენ მომავალ სპორტდარბაზს. მესამე კურსის მეოთხე და მეხუთე ჯგუფის 12 სტუდენტი, რომელსაც ნ. კოსოვი ხელმძღვანელობს, მეტად მძიმე სამუშაოს — კლდოვანი ყამირის დამუშავებას აწარმოებს.

ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის მესამე ჯგუფის კომკავშირელებმა ჯერ კიდევ გასულ წელს ჯგუფორად კ. სალუქვაძე აირჩიეს და მშენებლობაზე ბრიგადის ხელმძღვანელობაც მას ჩაანდრეს. იგი კარგად უძღვება ბრიგადას და წარმატებასაც აღწევს. მესამე ჯგუფის კომკავშირელთა ყოველდღიური გამომუშავება 120-130 პროცენტია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის 175 სტუდენტი მუშაობს საბურთალოს საცხოვრებელი კოოპერატივის მშენებლობაზე. მათ შორის გამოირჩევა ბრიგადა, რომელსაც სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი სკკპ წევრი ა. ჯაქვანი ხელმძღვანელობს. ბრიგადის წევრები სწრაფად დაეუფლნენ ადგურის წყობის სპეციალობას. მათ მშენებლობაზე კომპლექსური მუშაობა გაშალეს: კარგად მუშაობენ ადგურის მწყობელები ს. ლორთქიფანიძე, გ. ფხაკაძე, შ. ჩიხლაძე, მზელავები რ. ხუნდაძე, ა. ჯაიანი, ადგურის მიმწოდებლები ი. წოკლაური, ჯ. ჭანტურია და სხვ.

ასევე კარგად მუშაობს სამკურნალო ფაკულტეტის რუსული სექტორის ბრიგადა, რომელშიც გაერთიანებულია 25 სტუდენტი (ხელმძღვანელი ნ. მესხია). 15 სტუდენტი მუშაობს ბეტონის ჩასხმაზე, ხოლო 10 სტუდენტი „საქტექმონტაჟის“ რიგულ სამუშაოებზე. ბრიგადის თვითეული წევრის დღიური ფოლადი გამომუშავება 30 მანეთს აღემატება.

კარგ წამოწყებას კარგი შედეგი მოსდევს. ეჭვი არ არის, რაიონის ახალგაზრდობა თავისი შრომითი საქმიანობით გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშენებლობაში.

შ. ხელაშვილი,
საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის. ორჯონიკიძის რაიკომის ინსტრუქტორი.

ყვავილებივით იფურჩქნებიან

ხურამის ჯანსაღი ჰავა, თვალწარმტაცი ბუნება, ისტორიული ადგილები იზიდავს, აწრთობს და აჯანსაღებს ჩვენს ბედნიერ მომავალ თაობას — წითელყელსახვევიან ბიჭებსა და გოგონებს. ისინი სურამში მრავლად მოსულან პიონერულ ბანაკებში დასასვენებლად, პრემიებივით დაფრინავენ და ყვავილებივით იფურჩქნებიან.

აი ჩუმათელთის მწვანით მოსილ ფერდობზე, რომელსაც გადმოჰყურებს უხვფოთლოვანი ტანაყრილი ხეებით დაბურული ხეიანი, განლაგებულია სახვეჭრობის მუშაკთა პიონერიაშირის პიონერული ბანაკის 5 კორპუსი, კლუბისა და სასადილოს შენობები. აქ არიან პატარები რესპუბლიკის ყველა კუთხიდან. აგერ მათ მშვენივრად მოუწყვიათ ცოცხალი კუთხე, გამოუშვიათ კედლის გაზეთი, ქვემოთ დიდი წრე შეუკრავთ, მღერიან და ცეკვავენ, ერთი ჯგუფი ხელბურთს თამაშობს, მეორე — ჩოგბურთს და ასე მხიარულად გადის დღეები.

პიონერები ეწევიენენ სურამის ციხეს, მოისმენეს საუბარი ამ ციხის ლეგენდარული წარსულის შესახებ, დაათვალიერეს ლესია უკრაინკას სახლი-მუზეუმი, ექსკურსია მოაწყეს ბორჯომის ხეობაში... რა დაავიწყეს პატარებს აქ მიღებულ შთაბეჭდილებებს.

ნ. გორდეზიანი.

შესაძლებლობა და სინამდვილე

წლევანდელ ზაფხულს ვერ დაემდურებიან თბილისელები. ივნისი ისე გავიდა, სიცხეს არ შეიუფუნებიართ. მაგრამ დადგა ივლისი და, ბოლოს და ბოლოს, მზემ და ბუნებამ თავისი ძალა გვიჩვენა: ჩაოცება. თბილისელებს ერთი საერთო საზრუნავი გაუჩნდათ: სად დაემალონ სიცხეს.

რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი საშუალება აგარაკი და ქალაქგარეთ გასვლაა. მაგრამ ამის საშუალება ყველას ერთდროულად როდი აქვს.

ასეთ დროს შეუძლებელია არ გაიხსენოთ „თბილისის ზღვა“ და ლისის ტბა.

ზღვა! ყველა დიდი ქალაქის მცხოვრებთ როდი აქვთ ასეთი ბედნიერება. საინტერესოა და საამაყოა ის, რომ ჩვენი ქალაქის მკვიდრთათვის ბუნებას კი არ უბოძებია ეს სიკეთე, იგი თვით ხალხმა შექმნა საკუთარი შრომითა და ოფლით. თბილისის ზღვა ჩვენი პპოქის ქმნილებაა, საბჭოთა ადამიანების მარჯვენის ძალისა და ღონის დადასტურებაა.

ეს ასეა, მაგრამ ვიყენებთ კი დღეს ჩვენ ამ სიკეთეს, როგორც ეს ჩვენს ხალხს ეკადრება? სამწუხაროდ, ვერა. ვინც ამ სეზონში ერთხელ მაინც ყოფილა „თბილისის ზღვაზე“. უთუოდ დაგვეთანხმება.

ზღვაზე წასვლას რომ განიზრახავთ, თავიდანვე უნდა იცოდეთ პირველი სიძნელე გზაშივე შეგხვდებათ. „მე-17 ნომრით უნდა წაბრძანდეთ“ — უცნაური ტონითა და ღიმილით მიგასწავლიან სადისპეტჩეროში და, თუ გამოცდილი არა ხართ, მაოლოდ გვი ნ მიხვდებით ამ იროანიული ღიმილის აზრს. ჩვენ კი ავჩქარდებით, ახლავე აგიხსნით: დიდი ვაჟკაცობა გმართებთ, ამ ავტობუსზე რომ მოხვდეთ. ეს ზღვაზე წასვლისას, ხოლო უკან დაბრუნებისას ვერავითარი ვაჟკაცობა ვერ გიშველით. თავი რომ გასწიროთ და ერთი ხელი ტანსაცმელიც ზედ მიაყოლოთ, ავტობუსში ჩაჯდომის იმედი მაინც ნუ გექნებათ. ასე რომ მხოლოდ საკუთარი მუხლების იმედით უნდა იყოთ, რომ ქვეითად წამოხვიდეთ.

„თბილისის ზღვამდე“ (ვგულისხმობთ წყალჯომარდობის სადგურსა და პარკს) და ლისის ტბამდე ავტობუსისათვის სულ რაღაც 15-20 წუთის გზაა. 7-8 ავტობუსი რეგულარულად რომ მუშაობდეს, ყველაფერი წესრიგზე იქნება: მგზავრს 4-5 წუთს დასჭირდება გაჩერებასთან ლოდინი. მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ ვიანგარიშეთ, მგზავრობის სიმწარე რომ გამოვცადეთ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს (უფროსი ამხ. გ. მშვიდობაძე) მესვეურებს კი ამდენი ანგარიშისათვის არა სცხელათ. აქ თავს ამით იმართლებენ, მგზავრთა გადაყვანის გეგმა არ სრულდებაო. ფაქტიურად კი კონდუქტორები მგზავრებს ბილეთებს არ აძლევენ ან ფულს ითვისებენ.

ამჟამად დამსვენებლები თბილისის ზღვაზე უწინარეს ყოვლისა ბანაობის სურვილით მიდიან. ამ მხრივაც აქ ყველაფერი რიგზე არ არის. მართალია, ამ სეზონში წყალჯომარდობის სადგურს შეემატა 150-ადგილიანი გემი „თბილისის 1500 წელი“, ბათუმელთა საიუბილეო საჩუქარი, ათობით მოტორიანი და ნიჩბიანი ნავი, კატერი და სხვ., მაგრამ ნავებით მგზავრებს მხოლოდ გასეირნება შეუძლიათ. რაც მთავარია, მოიწყობილია პლაჟი. გათვალისწინებული იყო, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ აქ უნდა მოეტანათ რამდენიმე ვაგონი ზღვის სუფთა ქვიშა, მაგრამ დღემდე ერთი კენჭიც არ მოუტანიათ.

ზღვაზე არსად არ არის სასმელი წყალი. მართალია, სეზონისათვის აქ წყალსადენი გამოიყვანეს, და შადრევნებიც მოაწყეს, მაგრამ მხოლოდ გაყვანილობა საქმეს რას უშველის: წყალი არ მიდის. არ არის ტანსაცმლის გასახდელები, ტელეფონი-ავტომატი და მრავალი სხვა საჭირო მოწყობილობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზღვაზე არ არის უზრუნველყოფილი მობანაურთა უსაშიშრობა. ამ მხრივ ცუდად მუშაობს „დოსაფის“ მაშველი სადგური. არსად ზღვაზე არ არის ნიშანი, რომლის იქით მობანაგეს უფლება არ ექნება გასცურაოს.

მაშველი სადგურის კატერით ვიღაც შემთხვევითი პირები დასეირნობენ, ხოლო მობანაგეებს არავინ უთვალყურებს. ამ დღეებში ზღვაზე დაიბრძოლა ერთი მობანაგე, ხოლო მეორე შემთხვევით გადაარჩინეს წყალჯომარდობის სადგურის მოტორისტმა ს. მიკირტიჩიანმა. ამ დროს მაშველი სადგურის კატერით სადგურის უფროსის ამხ. ე. ბერიძის ნათესავები დასეირნობდნენ.

პარკის ტერიტორიაზე არის მილიციის ერთი ოცეული, რომელიც მოწოდებულია დაიცვას გამწვანება, დაიცვას წესრიგი. მაგრამ ოცეული ქალაქში სპორტული ან სხვა რაიმე ღონისძიება ეწყობა, მაშინ აქედანაც მიჰყავთ ოცეულის თანამშრომლები და პარკის მთელი ტერიტორია მორიგისა და ერთი მილიციელის ანაბარა რჩება. ამიტომაც ხშირია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები. მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენ გავხდით ამ ხულიგნური საქციელის მოწმე, რომელიც ჩაიდინეს ახალგაზრდებმა ვ. პეტრიაშვილმა, მ. ჭიაფერაძემ, ე. მიკირტუმოვმა, ა. ბამოსენკომ, ქ. კაბანაძემ, ა. ვარსემაშვილმა.

„თბილისის ზღვის“ პარკის ტერიტორიას ემსახურება მარცხენა ნაპირის სასადილოების ტრესტის ორი პავილიონი რამდენიმე ფილიალით. უნდა თქვას, რომ მომხმარებლები კმაყოფილნი არიან მათი მუშაობით, მრავლად არის ქვების პროდუქტები, ნაყინი, მინერალური და გამაგრილებელი ცივი წყლები.

ძალიერ უყვართ თბილისელებს ლისის ტბა. აქაც, როგორც „თბილისის ზღვისაკენ“, მრავალი მრომელი მიიერეის, რათა კულტურულად, მხიარულად გაატარონ თავისუფალი დრო, გამოსასვლელი დღე თავიანთ ოჯახის წევრებთან ერთად.

ლისის ტბას ამშვენებს ბუნებრივი პლაჟი, აქეეა ათასამდე ადგილიანი ტანსაცმლის გასახდელები. ტბაზე მრავალი ნავი, წყლის ველოსიპედი და კატერი სასეირნოდ. შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

რა თქმა უნდა, აქაც სიტყვა ტრანსპორტზე ჩამოვარდება. რა უნდა გითხრათ, რით უნდა გაგაბეროთ, როცა გასულ კვირას დილიდან შუადღის ორ საათამდე მუშაობდა სამი ავტობუსი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდა მგზავრთა მინიმუმსაც კი. შუადღის ორ საათის შემდეგ კი ათასობით ადამიანი ამაოდ დაშვრა ტრანსპორტის მოლოდინში, რადგან ავტობუსის მოძრაობა შეწყდა. ასეთი უპასუხისმგებლობა და მშრომელთა აბუჩად ადგება შეუწყნარებელია.

უყვარს ჩვენს ხალხს შრომა, უყვარს ჯანსაღი ფაფარეხვა. მათ სრული უფლება აქვთ დაისვენონ კულტურულად, ჯანსაღად, რათა ახალი, გაათკეცებული ენერგიით შეუდგნენ შემოქმედებითს შრომას. ჯანსაღ შრომას ჯანსაღი დასვენებაც ესაჭიროება.

მ. მიქაძე,
ბ. ბახტურიძე.

დისკუსიას უნდა მიეცეს უფრო კონკრეტული ხასიათი

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირზე

ჟენევა, 16 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის დღეგანდელი პლენარული სხდომა გაიხსნა ს. ლოიდის თავმჯდომარეობით.

პირველად გამოსულმა კ. ჰერტერმა ჯერ დასვა შემდგომი მუშაობის წესრიგის საკითხი. მოგაგონებთ, რომ გუშინდელი სხდომის ბოლოს კ. ჰერტერმა მოითხოვა ზედიზედ განხილულიყო საკითხები, რომლებიც დასავლეთ ბერლინს შეეხება. კ. ჰერტერის ამ წინადადებასთან დაკავშირებით ა. ა. გრომიკომ იმავე სხდომაზე განაცხადა, რომ დამოუკიდებლად იმისა, თუ რა წესით იქნება განხილული საკითხები, რომლებიც დასავლეთ ბერლინს შეეხება, საკითხი სრულიად გერმანიის კომიტეტის შესახებ და დასავლეთ ბერლინის საკითხთან ამ საკითხის კავშირის შესახებ დასმულია და მას ვერსად გადაეცემი.

დღეგანდელ სხდომაზე კ. ჰერტერმა გამეორა თავისი წინადადება და თქვა, რომ უნდა დაეწყოთ დისკუსია ბერლინის საკითხზე დასავლეთის სამი სახელმწიფოს წინადადებათა განხილვით, რომლებიც შემოტანილია 16 ივნისს. შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა გაიმეორა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების ძველი არგუმენტაცია ამ წინადადებათა დასაცავად, თუმცა მათი მიზანია დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის დამკვიდრება, და მაშასადამე, არ შეიძლება მათ მხარი დაუჭიროს საბჭოთა კავშირმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა თავის სიტყვაში ვრცელად გაიმეორა ყოველივე ის, რაც არაერთხელ უთქვამთ დასავლეთის მინისტრებს ბერლინის საკითხზე მათი ბოიკოტების გასამართლებლად, მაგრამ ახლაც არ უპასუხა ძირითად საკითხზე, რომელიც არაერთგზის დაუსვამს საბჭოთა დელეგაციას, სახელდობრ: როგორ შეიძლება ეროსა და იმავე დროს ილაპარაკო სერიოზულ განხრახვაზე აწარმოო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან და ებღაუბებოდე ოკუპაციის რეჟიმს დასავლეთ ბერლინში.

სეკრეტ ლოიდმა, რომელიც კ. ჰერტერის შემდეგ გამოვიდა, აღნიშნა, რომ საჭიროა მხარეთა თვალსაზრისების დაახლოების გზების გამოძებნა. აღნიშნა რა, რომ განმარტებებმა, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ გააკეთა ა. გრომიკოს 11 ივნისის, 28 ივნისის და 13 ივლისის განცხადებებში, გაფანტეს ზოგიერთი გაუგებრობა უკანასკნელი საბჭოთა წინადადებების შესახებ, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების დელეგაციებმა გაუწყდათ, ს. ლოიდმა შეადარა ორივე მხარის წინადადებათა ცალკეული პუნქტები. შეაჯამა რა მდგომარეობის მიმოხილვა, რომელიც მან გააკეთა, ლოიდმა განაცხადა, რომ ორივე მხარის პოზიციები სრულიადაც არ უკარგავს მას შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობის იმედს.

შემდეგ გამოვიდა ა. ა. გრომიკო.

აღნიშნა რა, რომ დადგა დრო, როცა დისკუსიას უნდა მიეცეს უფრო კონკრეტული ხასიათი, ე. ი. ვცადოთ გამოვძებნოთ თათბირის მონაწილეთა შეთანხმების საფუძველი იმ საკითხებზე, რომლებიც განხილვის საგანს წარმოადგენენ, ა. ა. გრომიკომ თქვა, რომ ამ თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ მიგვისალმოთ მოწოდებებს, კერძოდ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის მოწოდებას, რომ ვცადოთ გამოვძებნოთ მხარეთა პოზიციების დაახლოების შესაძლებლობა.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური შემდეგ დაწვრილებით შეეხო შენიშვნებს საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ წინადადებათა შესახებ, რომლებიც გაკეთებული იყო უკანასკნელ სხდომებზე და თქვა, რომ ეს კრიტიკული მოსაზრებანი შესაძლოა იყოს გაუგებრობის ან საბჭოთა კავშირის წინადადებათა არაკეთილად გულდასმით, არასაკმაოდ ობიექტური განხილვისა და შესწავლის შედეგი. კერძოდ, ხაზი გაუსვა ა. ა. გრომიკომ, კავშირის დელეგაციამ გააკეთა ა. გრომიკოს 11 ივნისის, 28 ივნისის და 13 ივლისის განცხადებებში, გაფანტეს ზოგიერთი გაუგებრობა უკანასკნელი საბჭოთა წინადადებების შესახებ, რომლებიც დასავლეთის ქვეყნების დელ

ყოველი მხრიდან

საგერძნეთი იძნეგა დამოუკიდებელი— ამგოგს გლეზოსი

შპაიდელის სისხლიანი მიზანი

ამერიკული თანამგზავრი კოსმოსს ვერ მისწვდა

მანოლის გლეზოსი გრალს სდეგს

ათენი, 16 ივლისი. (საკდესის კორ.). ათენის სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც არჩევს მანოლის გლეზოსისა და სხვა დემოკრატების „საქმეს", ისმენს ბრალდებულთა ჩვენებას. დამსწრენი სულგანაბულნი უსმენენ მათს ჩვენებას, რომელიც საკუთარი ამბილებს აქ ბელი პოლიტიკური მიზნებით შეთითხნილ პროცესს.

გლეზოსის დობილმა და მისმა ქმარმა ვასილიკი და გეორგიოს დოლიანიტისებმა, რომლებიც გუშინ საღამოს გამოვიდნენ, სასაძართლოს მოახსენეს იმის დაუვრილებითი ცნობები, თუ როგორ იქმნებოდა ასფალიის ჟურომულებში 1958 წლის ოქტომბრიდან მანოლის გლეზოსს ეგრეთწოდებული „საქმე". მათ ილაპარაკეს, რომ პოლიციის მიერ დაპატიმრების შემდეგ მათ მისცეს მართალი ჩვენება და უარყვეს პოლიციის ისტორია გლეზოსის „ჯაშუშობის" შესახებ. დაახლოებით თვენახევრის განმავლობაში ისინი განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ დამუშავებას ასფალიაში. გარკვეული ჩვენებანი რომ მიეღოთ, მათ სვამდნენ ერთეულთა საკნებში, ემუქრებოდნენ დაკითხვებზე, ბრალდებულთა „დამუშავებაში" მონაწილეობდნენ ბრალდების „მოწმენი" პაპასპიროპულოსი და საკელარიუ.

როცა მე ვკითხე, ამბობს დოლიანიტისი, რა სიმართლე უნდა ვთქვა მეთქი, პოლიციელებმა მითხრეს, რომ მე უნდა განვაცხადო, რომ 16-17 აგვისტოს ჩემს სახლში იყო უცნობი, რომელიც ეთთობარა მანოლის გლეზოსს. „მე მივხვდი, რომ მანოლის გლეზოსის წინააღმდეგ რაღაც პროვოკაცია მზადდებოდა".

ბრალდებული იუწყება, რომ. ცდილობდნენ რა მისგან მიეღოთ საჭირო ჩვენება, პოლიციელები მას არწმუნებდნენ, რომ გლეზოსი „ჩვენთან უკვე ყველაფერში გამოტყდა". შემდეგ ბრალდებულმა განაცხადა, რომ როცა მან ვერ გაუძლო ზეგავლენასა და გადაწყვიტა მიეცა პოლიციისათვის საჭირო ჩვენება, მიიღო გარკვეული მითითება, რა უნდა ეთქვა, რომ ყველაფერი „სიმართლის მსგავსი" ყოფილიყო.

შემდეგ ცოლ-ქმარი დოლიანიტისები აჩვენებენ, რომ უმუშევრად დარჩენისა და თავისუფლების დაკარგვის შიშის გამო 1959 წლის აპრილამდე ძალები არ ყოფნიდათ, რომ უარი ეთქვათ თავიანთ ყალბ ჩვენებაზე, და რომ, შეიგნეს რა თავიანთი საქციელის სამძიმე, ჯერ კიდევ ამ სასამართლოს დაწყებამდე მათ აცნობეს თავიანთი განზრახვა აღადგინონ სიმართლე.

მიუხედავად სასამართლოს თავმჯდომარის აშკარა ზეგავლენის, მექარისა და შეურაცხყოფისაც კი, ბრალდებულებმა მტკიცედ განაცხადეს, რომ პოლიციის ყველა მტკიცება გლეზოსის შესახებ სიცრუეა.

მანოლის გლეზოსის საქმეზე ჩვენებათა პირველი შედეგების შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ დაცვამ, გამოიყენა რა ფაქტები, კონკრეტული დამამტკიცებელი საბუთები, ბოლომდე ამხილა არა მარტო ნაყალბევი, რომელიც შეითხზნელია გლეზოსის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე გააშიშვლა ბერძენ ხელისუფალთა მეთოდები, რომლებსაც ისინი იყენებენ საბერძნეთის დემოკრატიულ მოღვაწეთა წინააღმდეგ. აი ამიტომ სამხედრო მოსამართლეთა ცდა გუშინ მიეძღვნა იმას, რომ არა მარტო დათესონ ეჭვი უდავო ფაქტებისადმი, არამედ აგრეთვე იხსნან ასფალიის პრესტიჟი.

დღეს დილით გამოვიდა ბრალდებული ე. ვუცასი. მან პროტესტი განაცხადა იმ ცდების წინააღმდეგ, რომ საბერძნეთის კომუნისტური პარტია წარმოგვიდგინონ ჯაშუშურ ორგანიზაციად. ბრალდებულმა ამხილა ახლანდელი პროცესის პოლიტიკური ხასიათი. მან ილაპარაკა საბერძნეთის კომუნისტური პარტიის 40 წლის პატრიოტულ მოღვაწეობაზე, მის დაუცხრომელ ბრძოლაზე ბერძენი ხალხის ინტერესებისათვის. ის ფაქტი, რომ საბერძნეთის კომუნისტური პარტია, რომელიც ახლანდელმა ხელისუფლებმა აკრძალეს, იძულებულია თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა საბერძნეთში განაგრძოს არალეგალურად, განაცხადა ვუცასმა, სამხედრო სასამართლოს საფუძველს არ აძლევს ბრალად დასდოს მას ჯაშუშური საქმიანობა. საბერძნეთის კომუნისტური პარტია არის სახალხო, პატრიოტული, ერთგული, მშვიდობიანი პარტია.

„მე — საბერძნეთის კომუნისტური პარტიის კადრის მუშაკს, — თქვა დასასრულ ვუცასმა, — ვამაყობ მაღალი პატივით ვიყო კომუნისტი, ვეკუთვნოდე საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას, მე მსურს გითხრათ თქვენ, ბატონო მოსამართლენო, რომ მზად ვარ მთელი ჩემი ძალები, მთელი ჩემი სიცოცხლე მოვახმარო პარტიას, საბერძნეთს, ხალხს".

სასამართლო გრძელდება.

ათენი, 17 ივლისი. **(საკდესის კორ.).** გუშინ საღამოს ათენის სამხედრო ტრიბუნალში გამოვიდა მანოლის გლეზოსი. ღონისძიებანი, რომლებიც პოლიციამ მიიღო იმისათვის, რომ არ დაეშვათ საბერძნეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და გაეძღვნებინათ მსოფლიო პრესის წარმომადგენელთა მუშაობა, მოწმობდა ხელისუფალთა დიდ ნერვიულობას.

უბრალოდ, მშვიდად, დამაჯერებლად გლეზოსმა ბოლომდე ამხილა და უარყო მის წინააღმდეგ შეთითხნილი უაზრო ბრალდება, „თითქოს იგი ხელს უწყობდა ჯაშუშობას".

გლეზოსმა თქვა, რომ 16 აგვისტოს საღამო, როცა, პოლიციის მტკიცებით, იგი თითქოს კოლიანისს შეხვდა, მან გააცარა კინოში მეუღლესთან და ვაჟიშვილთან ერთად. მეორე დღეს, როცა პოლიციელ პროვოკატორთა მტკიცებით, იგი თითქოს განაგრძობდა „საიდუმლო თათბირს" კოლიანისთან, იგი ისვენებდა მშობლებთან ერთად რაფინაში. უარყო რა პოლიციის ყველა მონაჭორი მისი თითქოს და ფარული საქმიანობის შესახებ, გლეზოსმა განაცხადა, რომ ყველა მისი მოქმედება ხორციელდებოდა საბერძნეთის ერთიანი დემოკრატიული მემარცხენე პარტიის თანხმობით. როგორც გლეზოსმა აღნიშნა, მან იცოდა, რომ მას მუდამ ადევნებდა თვალყურს საიდუმლო პოლიცია. ასფალიამ, დასძინა მან, ყველაფერი იცოდა მისი ცხოვრების შესახებ.

გლეზოსმა შემდეგ აღნიშნა, რომ 16 აგვისტოს პოლიცია ვიღაცას ადევნებდა თვალყურს იმ რაიონში, სადაც მისი და ცხოვრობს, და, ისარგებლეს რა ამით, პოლიციელებმა შეთხზეს თავიანთი ვერსია გლეზოსის წინააღმდეგ.

გლეზოსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბერძნეთის ხელისუფლებს უკვე დიდი ხანია ღვარძლი აქვთ მის წინააღმდეგ. იგი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ დევნა შედის როგორც ნაწილი რეაქციის საერთო შეტევაში საბერძნეთის დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. იგი აღნიშნავს, რომ პაპასპიროპულოსმა და საკელარიომ, რომლებიც სასამართლოში გამოდიან ბრალდების მოწმეებად, თავის დროზე სარჩელი წარადგინეს გაზეთ „ავგის" წინააღმდეგ. გლეზოსმა უამბო სასამართლოს პოლიციის დევნის და გაზეთ „ავგიზეზ" ზეგავლენის ეკონომიურ ღონისძიებათა შესახებ. დაპატიმრებული იყვნენ გაზეთის მთელი რიგი ჟურნალისტები. მან შემდეგ გაიხსენა განცხადება, რომელიც მისი დაპატიმრების მეორე დღეს გააკეთა უშიშროების ვიცემინისტრმა კალანდისმა, რომელმაც მოუწოდა გამიჯნოდა საბერძნეთის ერთიან დემოკრატიულ მემარცხენე პარტიას. აი სად იმალება ჩემი დაპატიმრების მიზეზი, — განაცხადა გლეზოსმა.

საბერძნეთში იზრდება მემარცხენეთა მოძრაობა, განაგრძო მან. ხელისუფლებმა იციან, რომ მე შეუდრეკელი ვარ და ყურს ვუგდებ ხალხის გულისცემას. ბრალდება ჩემს წინააღმდეგ საჭირო იყო იმისათვის, რომ ხელი შეეშალათ ოპოზიციის პარტიების თანამშრომლობისათვის. ჩემი დაპატიმრება სურთ გამოიყენონ პოლიტიკური მიზნით — არა მარტო მოსპონ პირადად მე, არამედ ლაბავრი ჩასცენ საბერძნეთის ერთიან დემოკრატიულ მემარცხენე პარტიას. მაგრამ პარტიას ვერ მოსპობთ.

გლეზოსმა შემდეგ განაცხადა, რომ საბერძნეთის ბევრ პოლიტიკურ ძალას სურს მდგომარეობის ნორმალიზაცია საბერძნეთში. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბერძნეთი იქნება დამოუკიდებელი და თავის წვლილს შეიტანს მშვიდობის განმტკიცებაში, როგორც ამას ბერძენი ხალხი მოითხოვს.

ი. აგლამოვი.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი იაპონელი მხატვრისადმი

ტოკიო, 16 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის ელჩმა იაპონიაში ნ. ტ. ფედორენკომ მრავალი კორესპონდენტის თანდასწრებით გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი იაპონელ მხატვარ იამამოტოს. წერილში გამოთქმულია გულითადი მადლობა ნ. ს. ხრუშჩოვისათვის გამოგზავნილი სურათის „ფუძის მთა მაისში" გამო. აშკარად ეს სურათი ექსპონირებულია აღმოსავლეთის კულტურათა მუზეუმში მოსკოვში.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილში ნათქვამია, რომ მართალ, რეალისტურ ხელოვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში მათი თანამშრომლობის საქმეში.

69 წლის მხატვარმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ელის წერილისათვის და განაცხადა, რომ იგი როგორც ადამიანი, რომელსაც გულწრფელად სურს მტკიცე მშვიდობა, მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირის აქტიურ როლს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში და თავის მხრივ ხელს შეუწყობს, რამდენადაც ძალა შესწევს, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. მინდა მადლობა ვუთხვნა, თქვა ნამამოტომ, საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს, რომელმაც გულთბილად მიიღო იაპონელი მხატვრის მცირედი ძღვენი.

ნოსაკას გამოსვლა

ტოკიო, 16 ივლისი. (საკდესი). იაპონიის მშრომელებმა გუშინ აღიარეს იაპონის კომპარტიის შექმნის 37-ე წლისთავი.

ტოკიოში იაპონიის კომპარტიის 37-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სახეიმო მიტინგზე მეიკრიბნენ დედაქალაქის საწარმო დაწესებულებათა მშრომელების წარმომადგენლები, ტოკიოს პარტიული ორგანიზაციის წევრები, იაპონიის სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციის დელეგაციები.

შეკრებილთ მიესალმა იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ნოსაკა. მან მიტინგის მონაწილეთა მეიკრიბა პარტიის 37-ე წლისთავი და ხაზი გაუსვა, რომ კომპარტიის წინაშე, ისევე როგორც მთელი იაპონელი ხალხის წინაშე ახლა დასაყენია მთავარი ამოცანა — არ დაუშვას იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" გადასინჯვა, რომელიც პოაქტიკულად იერეგის ამერიკის ბეერთეულ მტაცებლობა სამხედრო კავშირის გაძლიერებას და ნიშნავს იმის საფრთხის გადიდებას, რომ იაპონია ჩაითრიონ ამერიკელი იმპერიალისტების სამხედრო ავანტიურებში მორეულ ალმოსავლეთში.

იაპონელი კომუნისტების წინაშე, თქვა ნოსაკამ, დასახულია აგრეთვე პარტიის რიგების განმტკიცებისა და გაფართოების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით მან მოუწოდა იაპონიის მშრომელთ აქტიურად შეეიდნენ იაპონის კომპარტიის რიგებში.

მიტინგზე წაიკითხეს იაპონიის სოციალისტური პარტიის ძისალმება, რომელსაც ხალს აწერს პარტიის თავმჯდომარე სუეუკი. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პროფკავშირების, ახალგაზრდული, ქალთა ორგანიზაციებისა და სრულიად იაპონიის გლეხთა კავშირების ფედერაციის წარმომადგენლებმა.

მოხსენება იაპონიის კომპარტიის შექმნისა და იაპონიის მშრომელთა ინტერესებისათვის მისი ბრძოლის ისტორიის შესახებ გააკეთა იაპონის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ჰაკამადამ.

ᲐᲠᲐᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲣᲠᲘ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, გუშინ მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა რადიოკავშირის ძლიერი დარღვევა არაჩვეულებრივი ძალის მაგნიტური ქარიშხლის შედეგად. ინგლისელმა ინჟინრებმა ამ შემთხვევას „განსაკუთრებული" შემთხვევა უწოდეს.

პარიზი, 16 ივლისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს კვლავ გრძელდება ძლიერი მაგნიტური ქარიშხალი, რომელიც გუშინ დაიწყო. თითქმის სავსებით შეწყდა საფრანგეთის რადიოკავშირი ჩრდილოეთ ამერიკასთან. ტალღების გავრცელებაში შორეული აღმოსავლეთის მიმართულებით აგრეთვე აღინიშნებოდა დიდი დაბრკოლებანი. როგორც ფიქრობენ, მთელი დღისა და ღამის ნაწილის განმავლობაში მდგომარეობა არ შეიცვლება. დაბრკოლებანი იმდენად დიდია, რომ ტელეგრაფის კავშირზეც ვრცელდება. ეს ეიხსნება აფეთქებებით მზის ქრომოსფეროში, რაც აღნიშნა სხვადასხვა დამკვირებელმა.

უცხოეთის ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

◆ 15 ივლისს „ტუ-104" თვითმფრინავით კაიროდან მოსკოვს წავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ინფორმაციის ხუთწევრიანი გეგმის შესრულებისადმი მეთვალყურე კომიტეტის გენერალური ადმინისტრატორი ამინ ჰელმი ქამელი, რომელსაც ახლავს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხუთი ექსპერტი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ექსპერტთა ჯგუფი მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებთან კონტრაქტების დადების შესახებ მთელი რიგი სამრეწველო ობიექტებისათვის მოწყობილობის მიწოდებაზე.

◆ მაროკოს პრესა გადაჭრით მოითხოვს, რომ მაროკოს ტერიტორიიდან გაიყვანონ საფრანგეთის, ესპანეთისა და ამერიკის ჯარები.

სტატიებში, რომლებსაც აქვეყნებენ გაზეთები „ალ ჯამაჰირი", „ალ-ალამი" და „ათ-თაჰრირი" გამოთქმულია მოთხოვნა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადაიჭრას მაროკოდან უცხოეთის ჯარების გაყვანის პრობლემა.

◆ გაზეთი „ლიბერასიონი" იმოწმებს რა კაიროდან მიღებულ ცნობას, აღნიშნავს, რომ იმ ბრძოლების შედეგად, რომლებიც წარმოებდა ალჟირის მთელ ტერიტორიაზე ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ბელი არმიის რაზმებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის, 1-დან 8 ივლისამდე მოკლულია 314 და დაჭრილია 243 ფრანგი ჯარისკაცი. ივნისის უკანასკნელ დღეებში ალჟირელმა აჯანყებულებმა ჩამოაგდეს საფრანგეთის ოთხი სამხედრო თვითმფრინავი ქალაქ ბონის რაიონში და მოსპეს ოთხი თვითმფრინავი ბრძოლის დროს ბონ-ლესალინის აეროდ„ომის რაიონში.



გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. ბერლინი. **საცხოვრებელი მასივი ფრუბტშტრასსა და ტილზიტერშტრასეს ქუჩებს შუა.**

ფოტო ვაისისა. (ცენტრალბილდი).

ᲨᲞᲐᲘᲓᲔᲚᲘ ᲝᲛᲡ ᲗᲔᲡᲐᲕᲡ

ბონი, 16 ივლისი. **(საკდესის კორ.).** აქაურ პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას ძიაპყრო დასავლეთ გერმანიის გენერალ შპაიდელის „საინსპექციო მოგზაურობამ ალჟირში", ყოფილი ჰიტლერელი გენერალი, ხოლო ამჟამად ნატოს სახმელეთო ჯარების სარდალი ევროპის ცენტრალურ ზონაში შპაიდელი ალჟირს ჰავდა ნატოს უმაღლესი სარდლობის 40 ოფიცრის თანხლებით.

პოლიტიკური მიმომხილველნი ამასთან დაკავშირებით გამოთქვამენ შიშს, რომ ამ „საინსპექციო მოგზაურობის" შეიძლება მოჰყვეს ნატოს, კერძოდ დასავლეთ გერმანიის ჩარევა ალჟირის „ბინძურ ომში" ფრანგ კოლონიზატორთა მხარეზე, რომლებმაც ვერ შეძლეს ჩაეფროთ ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. როგორც პრესაში ხაზგასმით აღნიშნავენ, ასეთი შესაძლებლობა უკვე გამოთქვა გადაკრულად ბონის კანცლერმა ადენაუერმა. ამასთან დაკავშირებით იხსენებენ მის ამასწინანდელ განცხადებას, რომელშიც იგი ფაქტიურად სოლდარობას უცხადებს ფრანგ კოლონიზატორებს.

გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ" აღნიშნავს, რომ შპაიდელი გაემგზავრა რაიონში, სადაც „სუფევს ომი, სისხლისმღვრელი და ულმობელი. ჩვეულის მკვდრთა ომი ფრანგების წინააღმდეგ, რომელნიც მათ ჩაგრავენ, საფრანგეთის „ქვეშევრდომთა" ომი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ისინი აღარ ემორჩილებიან" და წერს: „როცა ადენაუერმა განაცხადა, რომ აღარ შეიძლება გულგრილად ვუყურეთ, თუ ვინ მართავს ალჟირსო, მან უკვე თქვა გადაკრულად, რომ ნატო უნდა დაეხმაროს საფრანგეთს ალჟირელთა წინააღმდეგ ბრძოლაში". ამასთან დაკავშირებით, აცხადებს „ვესტფელიშე რუნდშაუ", „გენერალ შპაიდელის „საინსპექციო მოგზაურობა" ალჟირში „რაღაც მეტი რამ არის, ვიდრე ჩვეულებრივი საქმე".

გაზეთი გაფრთხილებას იძლევა, რომ დასავლეთი გერმანია შეიძლება ჩაეჭიროს ალჟირის ომში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1959-60 სასწავლო წლისათვის დასწრებული სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: პირველი კურსი — 1. ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა, 2. საჩამოსხმო წარმოება, 3. სილიკატების ტექნოლოგია, 4. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 5. ქალაქის გაზის მეურნეობა.

მესამე კურსი — 1. ნავთობისა და გაზის ტრანსპორტი და შენახვა (რუსული სექტორი), 2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 3. რადიოკავშირი (რუსული სექტორი), 4. ხაქალაქო სატელეფონო კავშირი, 5. საფოსტო კავშირი.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე: პირველი კურსი — 1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. საფოსტო კავშირი, მესამე კურსი — 1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, 2. რადიოკავშირი, 3. სარაიონო ელექტროკავშირგაბმულობა და რადიოფიკაცია, 4. ხაქალაქო სატელეფონო კავშირი.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, **დაუსწრებელ განყოფილებაზე** — განუსაზღვრელად ასაკისა.

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან: არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. რუსულ ენაში (ზეპირი).

მესამე კურსზე ჩაირიცხებიან: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 3. რუსულ ენაში (ზეპირი).

უკონკურსოდ გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად მიიღებიან: ა) ის პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლის და მეტი საწარმოო სტაჟი და ბ) შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებული თადარიგის პირები.

განცხადებები მიიღება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან ან სკოლიდან, 2. განათლების მოწმობა ან ატესტატი (მხოლოდ დედანი), 3. შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან ამონაწერი, შემოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, 4. დაბადების მოწმობა (პირი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ) ან პასპორტი (წარმოადგენენ პირადად დასწრებულ განყოფილებაზე), 5 ავტობიოგრაფია, 6. სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, (ფორმა № 286), 8. სამხედრო ბილეთი (თადარიგის სამხედროვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის) — წარმოადგენენ პირადად, 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, უ. ჩხეიძის ქ. № 8.

მისაღები გამოცდები ჩატარდება დაუსწრებელ განყოფილებაზე 25 ივლისიდან 2 აგვისტომდე.

დასწრებულ განყოფილებაზე 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ცნობების გაცემა წარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე.

სტუმრები კვიპროსიდან

თბილისში 15 ივლისს ჩამოვიდნენ სტუმრები კვიპროსიდან. ჩამოსულთა შორის არიან ქალაქ ნიკოზიის მერი თემისტოკლე დერვისი, ქალაქ ლიმასოლის მერი კოსტას პარტასიდისი, ექიმი ქ. ნიკოზიიდან გეორგ მარანგოსი, არქიტექტორი ქ. ლიმასოლიდან სპიროს პავლიდისი, არქიტექტორი ქ. ნიკოზიიდან გეორგ მიხაელიდისი.

კვიპროსის კულტურის მოღვაწეთა დელეგაციას თბილისის აეროდრომზე შეხვდნენ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების, „სსრ კავშირ-საბერძნეთის" საზოგადოების საქართველოს განყოფილების წარმომადგენლები.

16 ივლისს სტუმრებს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ და „სსრ კავშირ-საბერძნეთის" საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ.



ირგვლივ ზურმუხტის მთებია. ცისაკენ აწვდილან მარადმწვანე ფიჭვები, ნაძვები. გაზაფხულს მოუტანია მწვანე ხანძარი და ფოთლებით აუნთია რცხილები, წიფლები, თელები. ისმის ფრინველთა ტკბილი გალობა, ნაკადულების რაკრაკი, ჩანჩქერების შხუილი. მზეზე ბზინავს ვიწრო ლიანდაგი, სარტყელივით რომ შემორტყმია სიმწვანეში ჩაფლულ აღმართ-დაღმართებს. ყურს უგდებ, თვალს აყოლებ, როცა ტყეში ბავშვების გამხარებელი კივის პატარა მატარებელი.

წელიწადის ყველა დროში მომხიბლავია ბორჯომის ხეობა, ზამთარში სათხილამურო-მუერად. გეძახის ბაკურიანი. მოვა ზაფხული, და არ იცი, რომელი ადგილი აირჩიო დასასვენებლად, ჯანის მოსაკრეფად. ყველა წარმტაცი და მიმზიდველია ულამაზესი ბუნებით, სუფთა ჰაერით. ვისაც ბორჯომის ხეობაში გაუვლია, ტკვედ შეუპყრია მის ზღაპრულ სიტურფეს, მშვენიერებას.

„უკვე ორი კვირაა, რაც ბორჯომში ვარ. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილია, რაც კი ოდესმე მინახავს... ჩემი აზრით, მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე ღვთაებრივი და საუცხო ადგილია", — წერდა გენიალური კომპოზიტორი პ. ჩაიკოვსკი, როცა ბორჯომი ინახულა საფრანგეთის გამოჩენილი კურორტ-ქალაქის ვიშის შემდეგ.

ვინ არ ყოფილა მოხიბლული ბორჯომის მიდამოთა მშვენიერებით! მისი შესანიშნავი წყალი ხომ მთელ მსოფლიოში გააქვთ. მსოფლიო მნიშვნელობის საკურორტო ადგილია ჩვენი სამშობლოს მშვენება ბორჯომი და მისი ხეობა.

• • •

სურათზე: ბორჯომის ხეობა ხედი ტაშისკარიდან.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ

გუშინ საქართველოს თეატრალური საზოგადოების მსახიობის სახლმა მოაწყო ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების საჯარო განხილვა.

სხდომა შესავალი ნაწილით გახსნა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ აკაკი ხორავამ. მან აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ლენინგრადელთა გასტროლებს ჩვენი ქალაქებისა და ხელოვნების მუშაკთა მეგობრობის, სიყვარულისა და შემოქმედებითი ურთიერთობისათვის.

ლენინგრადის დიდი თეატრის მსახიობმა ს. რიაბინკინმა დამსწრეთ მოუთხრო ამ თეატრის შექმნისა და მოღვაწეობის ისტორია, რომელიც ორმოც წელიწადს ითვლის.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გიორგი ციცისშვილი თავის მოხსენებაში შეეხო ნ. ვინიკოვის პიესას „როცა აკაცია ჰყვავის" და ა. ვოლოდინის— „ხუთ საღამოს". მომხსენებელმა მადალი შეფასება მისცა ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის მიერ დადგმულ ამ ორ საბჭოთა ნაწარმოებს.

კრიტიკოსმა გიორგი მარგველაშვილმა ილაპარაკა ლენინგრადელთა რამდენიმე დადგმაზე, დაწერილებით განიხილა „მელა და ყურძენი" და „სინიორ მარიო კომედიას წერს", აღნიშნა რეჟისორ გ. ტოვსტონოგოვის დიდი შემოქმედებითი ოსტატობა და ზოგიერთი რამ შენიშნა მსახიობებს.

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორი ოთარ ეგაძე ძირითადად შეეხო სპექტაკლ „იდიოტს" რომელმაც თბილისელი მაყურებლის დამსახურებული მოწონება ჰპოვა.

ლენინგრადელ მეგობართა სპექტაკლების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის წარმომადგენელმა ნ. მარშაკმა, სტუდენტმა ნ. ლიპატოვამ, დრამატურგმა ვ. პატარაიამ და სხვ. მათ ყველა თბილისელი მაყურებლის სახელით გადაუხადეს მადლობა ლენინგრადელებს ლამაზი და ამაღელვებელი ხელოვნებისათვის.

დასასრულ გამოვიდა ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრის დირექტორი ი. ნარიკინი.

— დღევანდელი მეგობრული სჯა-ბაასი, — აღნიშნა მან,—დიდად დაგვეხმარება შემდგომ მუშაობაში. ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა აქ გამოქმედულ შენიშვნას და ვეცდებით მომავალი გასტროლების დროს უფრო მრავალფეროვანი რეპერტუარით ჩამოვიდეთ. ამ გასტროლებმა კი ერთხელ კიდევ დაგვანახა, თუ რაოდენ უყვართ საბჭოთა ადამიანებს ხელოვნება და რაოდენ მაღალმოთხოვნი და სამართლიანია თბილისელი მაყურებელი.

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲔᲒᲔᲚᲖᲔ

ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ ანაგაში მცხოვრები ახალგაზრდა მარლენ მახაშვილი „ძირნახტომში" ცხვარს დაეძებდა. უცებ ფაჩიფუჩი მოესმა და ძებვიან ბუჩქებს იქით ძუ მგელი შენიშნა, მარლენი არ დაბნეულა, კომბალი მოიმარჯვა და ნადირს გამოუდგა, მაგრამ რას დაეწეოდა?

ახალგაზრდა კვლავ გაფაციცებით ზვერავდა. მიდამოს. ბუჩქებიდან წკმუტული მოესმა. მალე მგლის სამი ლეკვი შენიშნა, დაედევნა და სამივე დაიჭირა.

მ. მახაშვილმა მგლის ლეკვების დაჭერისათვის სილნაღის მონადირეთა ამხანაგობის კამგეობისაგან მადლობა დაიმსახურა და 1500 მანეთი მიიღო.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ბუდაპეშტი, 16 ივლისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ფარიკაობის მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმართა ფინალური შეხვედრები რაპირაში ვაჟთა შორის. მსოფლიო ჩემპიონის წოდებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ოთხი საბჭოთა სპორტსმენი — მ. მიდლერი, ვ. ედანოვიჩი, ი. სისიკინი და გ. სვეშნიკოვი, აგრეთვე ნეტერი (საფრანგეთი), ჯეი (ინგლისი), ბერგამინი (იტალია) და ბრეხტი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ჩემპიონატის სამ მონაწილეს გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობა ალმოაჩნდა, ამიტომ ყიორიმ დამატებითი შეხვედრა მოაწყო მიდლერს (სსრ კავშირი), ჯეის (ინგლისი) და ნეტერს (საფრანგეთი) შორის. მიდლერ-ჯეის შეხვედრა ინგლისელი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. შემდეგ მან ალობა აგრეთვე ნეტერს და მსოფლიო ჩემპიონი გახდა რაპირაში.

ᲡᲐᲣᲪᲮᲝᲝ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ

მოსკოვი. (ტელეფონით „კომუნისტის" სპეც. კორ.). დილიდან გვიან საღამომდე არ წყდება ხმაური მოსწავლეთა VI საკავშირო სპარტაკიადის შტაბში — მოსკოვის ნორჩ პიონერთა სტადიონის (ცისფერ დარბაზში.

16 ივლისს ბრძოლაში ჩაებნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები, მაგრამ პრიორიტეტი მაინც ფეხბურთელებს ეკუთვნით.